№199
(12 269)
24 აგვისტო პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ, 19:00. საქართველო-ავსტრია. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

# სასახლე A კლასია! ნაკრები?

გუშინ, საღამოს 6 საათზე საქართველოს ნაკრებმა ახალგარემონტებულ სპორტის სასახლეში ივარჯიშა. მოთამაშეები, ისევე როგორც ჟურნალისტები, მოედნის დანახვაზე ერთსა და იმავეს ამბობდნენ - ევროპული დონეა, ჩვენი დარბაზი მზადაა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების სამასპინძლოდ! ... საკითხავი ისაა, ეროვნული გუნდი რამდენადაა მზად ევრომატჩებისთვის. იგი წლეულს საკვალიფიკაციო შეხვედრებს ატარებს, თუ A დივიზიონში გადავედით, ელიტის გუნდებს თბილისში გაისად ვიხილავთ. მანამდე, 25 აგვისტოს, 19 საათზე, ავსტრიასთან მოგვიწევს გაჯიბრება. ჩვენი ნაკრების შემხედვარეთ დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი ფიზიკურად კარგადაა მომზადებული. გუნდმა ორსაათნახევარი შეუსვენებლივ ივარჯიშა და ნვრთნის დასრულების შემდეგ დალლა არავის ეტყობოდა. ვარჯიშიდან კიდევ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება - შაბათს ავსტრიის წინააღმდეგ მატჩში ხუთეულისთვის მწვრთნელი გიორგი ცინცაძეს, ტაირონ ელისს, მანუჩარ მარკოიშვილს, ვიქტორ სანიკიძესა და ზაზა ფაჩულიას ამზადებს...




შილდსმა ხუთეული მოხაზა 9

საქართველოს ნაკრების ვარჯიში სპორტის სასახლის ახალ ფიცარნაგზე

## გაახალგაზრდავება!



## თანაც სწრაფი ტემპით

გაოცებულები, განწბილებულები და გულჩამწვარები

უჩა უგულავა ლუქსემბურგულ ფრეზე 3






## ნადი!

ინგლისი მაკლარენის წინააღმდეგ

## იტალიამ მატერაცი დიდი ხნით დაკარგა

ამხანაგური მატჩების მძიმე შედეგები 5

LEGA CALCIO

## სერია A

განაცხადები და კალენდარი 6-7

www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge



# პისკოვეცის პირველი გამოცდა, მერანის გახსნა და ახალი ჭელიძე ზესტაფონში



ნინა ოლიმპი-ამერს მშვიდობიანი არ ეთქმოდა

ტურის ცენტრალური და სრულიად პირველი წრის ერთ-ერთი გამორჩეული მატჩი ხვალ რუსთავში გაიმართება. ყველას კარგად გვახსოვს "ოლიმპისა" და "ამერის" ბოლო მატჩი, რომელიც სკანდალით დასრულდა. წვრილმანებს ნუღარ ჩავუღრმავდებით და მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ რუსთაველებმა ჩემპიონობისკენ უდიდესი ნაბიჯი სწორედ გლდანელებთან შინ მიღწეული ფრის წყალობით გადადგეს. სხვა წყვილებშიც საკმაო ინტრიგაა, წინა ორ ტურს უინტერესოდ არ ჩაუვლია და იმედია, მესამე ტურიც შინაარსიანი იქნება.

## ლოკომოტივი-მესხეთი

24 აგვისტო. თბილისი. მ. მესხი. 17:00

### სავარაუდო შემადგენლობები

ლოკომოტივი: გვარამაძე, ქუხილავა, გ. კვახაძე, გუშარაშვილი, დ. ფოფხაძე, მალიჩავა, გულორდავა, ლალაძე, სამხარაძე, ყენია, გ. მიქაძე

მესხეთი: სომხიშვილი, გ. ნადირაშვილი, ლეკიშვილი, აკოფიანი, კობესაშვილი, მ. თაყაძე, ინასარიძე, გ. თურმანიძე, ზ. ჩხეტიანი, გვირჯიშვილი, კაიდარაშვილი

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

"ლოკომოტივს" **ლევან ყენია** უბრუნდება, რომელმაც წინა ტური დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. სადღეისოდ "ლოკომოტივი" და "მესხეთი" სატურნირო ცხრილში მეზობლები არიან, რაც მატჩის მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

## მერანი-სპარტაკი

24 აგვისტო. თბილისი. მერანი. 17:00

### სავარაუდო შემადგენლობები

მერანი: სეფიაშვილი, ლოლაძე, ჯანგიძე, სარალიძე, გიგაური, ლომაშვილი, ზ. ავალიანი, ბ. ნოზაძე, ტყეშელაშვილი, წიქარიშვილი, ვ. გოჩაშვილი

დისკვალიფიკაცია: თ. კობიაშვილი

სპარტაკი: კოდალაევი, კეტაშვილი, ხაჭიპერაძე, მამუკაშვილი, თარხნიშვილი, პარამონოვი, ჩირიკაშვილი, ჯანელიძე, დარბაიძე, ხიდეშელი, ბახტურიძე

არბიტრი: ვ. ჭუმბერიძე

ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ, დღეს 31-ე ქარხნის დასახლებაში "მერანის" სტადიონი საზეიმოდ გაიხსნება. უკანასკნელ საფეხურზე მყოფი მერანელები ჯერაც დაუმარცხებელი "სპარტაკის" ძლევას ეშურებიან და სულაც არ იქნება დიდად გასაკვირი, პირველ გამარჯვებას დღეს თუ იზეიმებენ.

## სიონი-ბათუმი

24 აგვისტო. ბოლნისი. თ. სტეფანია. 17:00

### სავარაუდო შემადგენლობები

სიონი: ბობლიაშვილი, რაქვიაშვილი, ოქროპირიძე, სვანიძე, ლ. ვაშაკიძე, ბაჯელიძე, სანიკიძე, თავბერიძე, ა. ნოზაძე, გაგუა, ქარდავა

ბათუმი: თოთლაძე, თედორაძე, კუნჭულია, გალოგრე, ოქრუაშვილი, ცანავა, მაკარიანი, ბეჟანიძე, დარჩიძე, გ. მოდებაძე, კაკალაძე

დისკვალიფიკაცია: კ. მახარაძე

არბიტრი: გ. ურუშაძე

"სიონმა" პირველი ტურის შეხვედრაში თავი ბევრი ვერაფრით გამოიჩინა და საკუთარი გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტაცია მართებს. კიდევ ერთი მარცხი კი "ბათუმს" ძალიან გაუფუჭებს საქმე. მოკლედ, თავისი წილი ინტრიგა არც ამ მატჩს აკლია.

## დილა-ვიტ ჯორჯია

24 აგვისტო. გორი. თ. ბურჯანაძე. 17:00

### სავარაუდო შემადგენლობები

დილა: ილურიძე, ბალაშვილი, ბალიაშვილი, დ. ხანიშვილი, ლაცაბიძე, მასურაშვილი, სადალაშვილი, სულთანიშვილი, შატაკიშვილი, სამადაშვილი, ბ. ჩიტაია

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ლომაია, ა. კვახაძე, ინჯგია, კლიმიაშვილი, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, ბეჭვაია, სახოკია, გელაშვილი

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

გორელებმა ორივე ჩატარებულ შეხვედრაში რიგიანი შთაბეჭდილება დატოვეს და ალბათ, ვეტერინარებსაც მედგრად შეებრძოლებიან. ვიტელებს იოლი ამოცანა ნამდვილად არ აქვთ, მაგრამ მოპოვებული პოზიციის შესანარჩუნებლად უცილობელი სამი ქულა ესაჭიროებათ. წესით, "ბურჯანაძეზე" ტურის ერთ-ერთი გამორჩეული ჯახი უნდა შედგეს.

## ოლიმპი-ამერი

25 აგვისტო. რუსთავი. ფოლადი. 17:00

### სავარაუდო შემადგენლობები

ოლიმპი: მერლანი, ორბელაძე, მახვილაძე, სილაგაძე, ნავალოვსკი, გეწაძე, ქებაძე, კახელიშვილი, ჟივკოვიჩი, რ. ჯიქია, ბოდრი ჯილდასი

დისკვალიფიკაცია: აკუასაგა

ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, ჯელაძე, ბოლქვაძე, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, დავითაშვილი, ტატანაშვილი

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

"ოლიმპმა" და "ამერმა" წინა სეზონში ორივეჯერ ფრედ ითამაშეს. ვეჭვობთ, ხვალ საყაიმო შედეგი რომელიმე გუნდს ხელს აძლევდეს. ჩემპიონატი ორივემ მარცხით დაიწყო და კიდევ ერთი წაფორხილება გამორჩეულთა მარაქაში მყოფ რუსთაველებსა და გლდანელებს უკვე საგრძნობლად შეუშლით ხელს უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლაში.

ეს "ოლიმპის" ახალი დამრიგებლის პირველი სერიოზული გამოცდა იქნება. **ანატოლი პისკოვეცის** სამწვრთნელო შესაძლებლობებს "ამერთან" დაპირისპირების შესახებ უფრო ნათლად შევაფასებთ. "ოლიმპში" ცვლილებები კიდევაა მოსალოდნელი, "ამერში" კი ჩვეული სტაბილურობაა. **გიორგი ჩიხრაძეს** საკადრო არჩევანი ნამდვილად აქვს და ვნახოთ, კიდევ თუ შეიტანს სასტარტო შემადგენლობაში გარკვეულ ცვლილებებს.

## ზესტაფონი-მგლები

25 აგვისტო. ზესტაფონი. ცენტრალური. 17:00

### სავარაუდო შემადგენლობები

ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, ს. თოდუა, რ. ონიანი, კ. ჩხეტიანი, ნ. კვასხვაძე, ჟონატასი, კესანი, ვიეირა, ფიფია, გ. ჩხეტიანი

მგლები: ივარდავა, ექონია, ფარულავა, მაჭავარიანი, კაკაბაძე, ხუბუა, კრასოვსკი, ვართაგავა, ჯოჯუა, ჯანაშია, ჭედია

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

ნახევარმცველ **გიორგი ჭელიძის (ნუგზარის** ძის) ზესტაფონური კარიერა დასრულებულად შეიძლება ჩავთვალოთ, სამაგიეროდ, თავდამსხმელი **გიორგი ჭელიძე (ნოდარის** ძე) დღეს ალბათ, სადებიუტო მატჩს ჩაატარებს ფეროელთა შემადგენლობაში. **სანტოსის** "ოჯახური პრობლემების" შესახებ უკვე ყველამ გაიგო, კიდევ კარგი, მისი მეგობარი **ჟონატასი** მაინც გამოვიდა შოკიდან და ალბათ, ძირითადშიც ითამაშებს. "მგლების" მთავარი დანაკლისი **აკაკი დევაძეა.**

## ბორჯომი-დინამო

25 აგვისტო. ბორჯომი.
ჯ. ზეინკლიშვილი. 17:00

### სავარაუდო შემადგენლობები

ბორჯომი: შეყრილაძე, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, ლ. ჭელიძე, აკობია, ნერგაძე, ბაბუნაშვილი, შ. გრიგალაშვილი, კ. ხანიშვილი, ლონლაძე, ყველაშვილი

დინამო: ლორია, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, გ. კაშია, ფეიქრიშვილი, ხმალაძე, ლ. მერებაშვილი, კობახიძე, დილმელაშვილი, აკირემი

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

"რაპიდთან" თავის მოჭრის შემდეგ, "დინამო" ბორჯომს ესტუმრება და შინ სამი ქულით დაბრუნდება. თუმცა კი ბუნებრივია, ამას რეაბილიტაციასთან საერთო არაფერი ექნება...

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. ბორჯომი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 4. დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 5. ამერი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 6. დილა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 7. ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 8. მგლები | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 9. ოლიმპი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 10. მესხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 11. სპარტაკი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 12. სიონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 13. ბათუმი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 14. მერანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვიეირა (ზესტაფონი) | 2 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 2 |
| ბ. ჩიტაია (დილა) | 2 |



გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



უჩა უგულავა

მატჩის შემდეგ

# მალე, ნაკრებში გაახალგაზრდავება დაიწყება...

## ...თანაც სწრაფი ტემპით?

საქართველოს ნაკრებმა ოთხშაბათს ლუქსემბურგთან ნათამაშები ფრით კიდევ ერთხელ გაგვანბილა. მართალია, **კლაუს ტოპმიოლერის** ბიჭებმა მასპინძლები აშკარად დაჯაბნეს, მაგრამ გოლი ვერაფრით გაიტანეს. შეხვედრის ანგარიშის გაგებისთანავე გულშემატკივართა რეაქცია სხვადასხვაგვარი გახლდათ. თუმცა ყველა ქომაგი ერთ კითხვაზე პასუხს ეძებს – რას უნდა ველოდოთ?

ქართული დელეგაცია ლუქსემბურგიდან სამშობლოში დღეს გამთენიისას დაბრუნდა. ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი თბილისში არ დაბრუნებულა. იგი რამდენიმე დღეში ჩამოვა, 8 და 12 სექტემბრის, შესაბამისად, უკრაინასა და აზერბაიჯანთან მატჩებისთვის სანაკრებო შემადგენლობას დაასახელებს და გუნდის მომზადებასაც შეუდგება.

გულშემატკივრის დარად, ჩვენც არანაკლებ გვაინტერესებს, თუ რა გადაწყვიტა ტოპმიოლერმა და რას უნდა ველოდოთ ეროვნულ გუნდში. საამისოდ გუშინ კიდევ ერთხელ შევეცადეთ ფედერაციისა და ნაკრების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებას. არაერთი მცდელობის შემდეგ, **უჩა უგულავას** შევეხმიენეთ. ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს სასაუბროდ დრო ცოტა ჰქონდა და მცირე ბლიც-ინტერვიუ გამოგვივიდა.

- ლუქსემბურგში ჩატარებულ თამაშზე რა შეიძლება ითქვას... ყველანი გაოცებულები, განბილებულები და გულჩამწვარები ვართ. ათზე მეტი კარგი საგოლე მომენტიდან ერთ გოლს რომ ვერ გაიტან, რაღაზეა საუბარი?!

**- ამ უგოლო ფრეს რით ახსნით?**

- მეტოქე თამაშით დავჯაბნეთ, მაგრამ გოლი ვერაფრით გავიტანეთ. მართალია, ნაკრებს არაერთი ფეხბურთელი აკლდა, მაგრამ ვინც უნდა დაგვაკლდეს, ლუქსემბურგს მაინც უნდა ვუგებდეთ... სხვა რა გითხრათ, მწვრთნელები კიდევ ერთხელ გააკეთებენ ანალიზს და ყველაფერს იტყვიან.

**- ვითარებაც ამას გვკარნახობს და როგორც გავიგეთ, გარკვეული ცვლილებაა მოსალოდნელი...**

- ნაკრებში გაახალგაზრდავების პროცესი დაიწყება... თანაც ლბათ სწრაფი ტემპით. ეს მწვრთნელების საქმეა და თბილისში დაბრუნების შემდეგ, ამ თემაზე სწორედ ისინი ისაუბრებენ.

**- კლაუს ტოპმიოლერი როდის ჩამოვა თბილისში?**

- ორშაბათს.

**- ნაკრების სტაჟიანი წევრებიდან მაინც ვის შეეხება გაახალგაზრდავების პროცესი?**

- ამაზე მე ვერაფერს გეტყვით. ეს ნაკრების სამწვრთნელო შტაბის პრეროგატივაა და ამას ისინი გადაწყვეტენ. ამ ეტაპზე სხვას ვერაფერს გეტყვით.

**დავით ცაბაძე**

17-წლამდელთა ნაკრები. პალანგის ტურნირი

# საქართველო მეხუთეა

**ლიტვა–საქართველო 0:3**

გოლები: 0:1 შეყილაძე (25), 0:2 ძალამიძე (70), 0:3 შეყილაძე (75).

საქართველო: მეფარიძე, მირცხულავა, რიგვავა (კაპ.), მეგრელიშვილი, შონია, გუგუჩია, მელიქიშვილი, ძალამიძე, შეყილაძე, ხურციძე (41. ვაშაკიძე), ანანიძე (65. მამულაძე).

გაფრთხილება: რიგვავა (37)

ლატვიის საკურორტო ქალაქ პალანგაში გუშინ მორიგი საერთაშორისო ტურნირი დასრულდა. შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანთან (0:2) და რუსეთთან (0:4) წაგებების შემდეგ, **ჰერბერტ ცანკერის** გუნდმა მასპინძელი ლატვია 2:1 დაამარცხა და ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა. შესაბამისად, ტურნირის რეგლამენტის მიხედვით, ქართველები მეორე ჯგუფის მესამეადგილოსან ლიტვას მე-5 ადგილისათვის მატჩში დაუპირისპირდნენ.

ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ეს მატჩი ქართველთა უპირატესობით წარიმართა და ეს შედეგშიც სათანადოდ აისახა. ცანკერის ბიჭებმა მატჩის სტარტეზევე მოიპოვეს უპირატესობა, მაგრამ გოლის გატანა ცოტა მოუგვიანდათ. ანგარიში 25-ე წუთზე **ირაკლი შეყილაძემ** გახსნა. ამის შემდეგ, ქართველებს კიდევ ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, მაგრამ ეს მხოლოდ მეორე ნახევარში მოახერხეს.

ჩვენმა ჭაბუკებმა მეორე ნახევარიც აქტიურად ჩაატარეს და ტაიმის შუაწელს კიდევ ორი გოლი გაიტანეს. 70-ე წუთზე **ნიკა ძალამიძემ** სხვაობა ორამდე გაზარდა. ხუთიოდე წუთში კი შეყილაძემ დუბლი მიითვალა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა.

**დავით ცაბაძე**

მატჩის შემდეგ. რას წერენ ჩვენზე

# ფრე იღბლითა და ბრძოლით

## ცქიტიშვილი საუკეთესოთა შორის

გუშინდელ ნომერში ჩვენი ნაკრების ლუქსემბურგში ჩატარებული მატჩის მიმოხილვის ნაცვლად, მცირედი ანალიზი და სტენოგრამა შემოგთავაზეთ. 22 აგვისტოს, "იოსი ბარტლიზე" ჩატარებული მატჩის შესახებ, სალამოს უცხოურმა ვებგვერდებმა მხოლოდ თამაშის ტექნიკური შედეგი გაავრცელეს. გუშინ კი მატჩის მიმოხილვაც შემოგვთავაზეს, რომელიც ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს.

"ფრე იღბლითა და ბრძოლით" – ასეთი სათაური ამშვენებს სტატიას.

*"ოთხშაბათს, "იოსი ბარტლიზე" ლუქსემბურგმა კლაუს ტოპმიოლერის საქართველო უგოლო ფრეზე დაითანხმა. მართალია, ამ წყვილში უპირობო ფავორიტად საქართველოს ნაკრები იყო მიჩნეული, მაგრამ იღბლისა და ბრძოლის წყალობით, შეხვედრა ფრედ დასრულდა...*

*პირველი მეტნაკლებად სახიფათო მომენტი ლუქსემბურგმა შექმნა. თუმცა ბეტმერის დარტყმულზე სტუმართა მეკარეს რეაქცია არ გასჭირვებია. მე-10 წუთზე კი კვირკველია-კობიაშვილი-ხიზანეიშვილის კომბინაციისას ამ უკანასკნელს შეეძლო გატანა, მაგრამ მისი მაკრატელა დარტყმული უშედეგო აღმოჩნდა...*

*ლუქსემბურგი პირველ ნახევარში ერთობ უსუსურად გამოიყურებოდა. ქართველები სწრაფი, გააზრებული და ლამაზი კომბინაციებით მოსვენებას არ აძლევდნენ მასპინძლებს. სტუმრებს ყველაფერი კარგად გამოსდიოდათ, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში არაფერი გამოსდიოდათ. ყველაზე ამაღელვებელი მომენტი 33-ე წუთზე შეიქმნა. სირაძის პასის შემდეგ, იაშვილის დარტყმული ჯერ ძელს მოხვდა, მერე მეკარე ჟობერს და კუთხურზე გადავიდა...*

*35-ე წუთზე პენალტი იაშვილმა შეასრულა, მაგრამ მის მიერ დარტყმული დაბალი ბურთი მეკარე ჟობერმა კუთხურზე მოიგერია.*

*განსაკუთრებით სუსტად გამოიყურებოდა მასპინძელთა დაცვა. ათწუთიან მონაკეთში ქართველებმა ბურდული ორჯერ მეკარესთან პირისპირ გაიყვანეს, მაგრამ ჰელერსის გუნდი გოლს გადაურჩა.*

*მასპინძელთა კლასიკურმა 4-4-2 ტაქტიკამ არ გაამართლა. ლუქსემბურგელთა ფორვარდები* ***კიტენგი*** *და* ***კოლეტი*** *მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში უქმად იყვნენ. გი ჰელერსი მიხვდა, რომ განლაგება უნდა შეეცვალა და შესვენებაზე გუნდი 4-5-1 სქემაზე გადააწყო. ამან გაამართლა კიდეც, ლუქსემბურგელებმა ცენტრში ბურთი დაიჭირეს და პირველ ტაიმთან შედარებით გაცილებით უკეთ ითამაშეს. მეორე ნახევარში ქართველები მასპინძლებს უკვე ველარ უბედავდნენ იმას, რასაც საწყის 45 წუთში აკეთებდნენ. ჰელერსის გუნდი უფრო ამაყად ათამაშდა და სტუმრებმა მხოლოდ ორი საგოლე მომენტი შექმნეს. მასპინძლებს ცოტა კიდევ რომ გამართლებოდათ, ამ თამაშს მოიგებდნენ კიდეც. ჰაასის, ბეტმერის და მოტასა და დე სოუზას კომბინაციისას, ამ უკანასკნელს ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ ახლო მანძილიდან ააცილა. ბოლოს კი ისევ ჟობერმა იყოჩაღა, როცა* ***მუჯირის*** *უძლიერესი დარტყმისას რთული ბურთი აილო"*, - აი, ასეთ ანოტაციას გვთავაზობს ლუქსემბურგული ვებგვერდი "ვორტი".



ლევან ცქიტიშვილი

თითქმის იმავე შინაარსის მასალა გამოაქვეყნა ლუქსემბურგულმა საიტმა "ტაგბლატმა", მაგრამ მატჩის მიმოხილვისას მკითხველს შეახსენა, რომ 2001 წელს ლუქსემბურგი-საქართველოს მატჩი სტუმრებმა 3:0 მოიგეს... და კიდევ ერთი, იმავე "ტაგბლატის" ვერსიით, ამ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელებად მეკარე **ჟობერი**, მცველი **მუჩი** და **ლევან ცქიტიშვილი** იყვნენ.

**დავით ცაბაძე**

ევრო 2008. მეტოქეები

# ბლოხინი თბილისში მოგებას გეგმავს

**კლაუს ტოპმიოლერის** გუნდის დარად, გასულ ოთხშაბათს ჩვენი ჯგუფის მეტოქეებმაც გამართეს ამხანაგური მატჩები. ჩვენი უახლოესი მეტოქე უკრაინაა. მას თბილისში 8 სექტემბერს ვუმასპინძლებთ. **ოლეგ ბლოხინის** შეგირდებმა **გლადკისა** და **როტანის** გოლების წყალობით, უზბეკეთი შინ 2:1 დაამარცხეს. ბლოხინმა სიტყვა შეასრულა და აზიელთა წინააღმდეგ ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშა. მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მთავარი მწვრთნელი უახლოეს თამაშებს შეეხო.

*"მომდევნო მატჩები საქართველოსთან და იტალიასთან გველის. ამ შეხვედრებს ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს და ქულათა მაქსიმუმის ასაღებად ყველაფერი უნდა ვიღონოთ".*

უახლოესი თამაშების თემას უკრაინული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში **ანდრეი შევჩენკოც** შეეხო.

*"უახლოესი ორი მატჩი ჩვენთვის მართლაც ბევრს წყვეტს. ფაქტობრივად, ეს თამაშები ჯგუფიდან გამსვლელ გუნდებს გაარკვევს. იმედი მაქვს, ჩვენი გუნდი კარგ თამაშს აჩვენებს და სასურველ შედეგსაც მივაღწევთ"*, - განაცხადა უკრაინელთა ნაკრების ლიდერმა.

უზბეკეთთან შეხვედრაში შევჩენკომ მხოლოდ პირველ ტაიმში ითამაშა. ბუნებრივია, პრესა მას ამაზეც დაეკითხა.

*"თავიდანვე ვიცოდი, რომ მხოლოდ 45 წუთს ვითამაშებდი. ამაზე ნაკრების მთავარ მწვრთნელთანაც მქონდა საუბარი. ბოლო პერიოდში ორი ტრავმა მქონდა, ჯერ კიდევ არ ვარ ფორმაში და 90 წუთის განმავლობაში თამაში გამიჭირდებოდა"*, - განმარტა შევჩენკომ.

უკრაინა-უზბეკეთის მატჩის დამთავრებამდე 9 წუთით **ნესმაჩნიმ** ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. უკრაინული წყაროები გუშინ არაფერს წერდნენ ფეხბურთელის ტრავმის სირთულის შესახებ. ასე რომ, ჯერ კიდევ უცნობია, შეძლებს თუ არა ის 8 სექტემბერს თბილისში თამაშს. ასე რომ, ნესმაჩნის მდგომარეობა გაურკვეველია. შეგახსენებთ, რომ იტალია-საქართველოს ეროვნული ნაკრებების მატჩი აპენინებზე 13 ოქტომბერს გაიმართება.

**დავით ცაბაძე**



ოლეგ ბლოხინი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



ამირან მინაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# როგორ გადაურჩა ფანიაშვილი ბენგალურ ცეცხლს

უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში ბოსნიურმა "შიროკი ბრიეგმა" ებრაულ "ჰაპოელთან" შინ 0:3 წააგო. მატჩს უშფოთველად არ ჩაუვლია - მოედანზე ისეთი ცეცხლი დაინთო, თამაში ნახევარი საათით შეწყდა. მატჩის არბიტრი **ლევან ფანიაშვილი** გახლდათ, ვისაც მომხდარზე დავეკითხეთ.

- სტუმართა გულშემატკივრები, დაახლოებით ასი კაცი ტრიბუნაზე იზოლირებულად განთავსდა. როგორც კი ებრაელებმა პირველი გოლი გაიტანეს, მინდორზე ასაფეთქებელი მოწყობილობა, ეგრეთ წოდებული ბენგალური ცეცხლი ისროლეს, რომელსაც მძლავრი ალი აქვს და ძლიერადაც ბოლავს.

**- "ბენგალური ცეცხლი" თქვენთან ახლოს დაეცა?**

- არა და ამისგან არც არავინ დაშავებულა. ნასროლი ბენგალური ცეცხლი სტიუარდმა აიღო და ებრაელი ფანებისკენ ისროლა. ეს მისი მხრიდან ალბათ შეცდომა იყო, ამან კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. ებრაელებმა "ბენგალური ცეცხლი" ბოსნიელ გულშემატკივრებსაც დაუშინეს და ატყდა ერთი ამბავი. იძულებული გავხდი, თამაში შემეწყვიტა.

**- რამდენი ხანი დასჭირდა ვითარების განმუხტვას?**

- თამაში ზუსტად 29 წუთში განვაახლე, ამ პერიოდში გუნდები გასახდელებში იყვნენ. პოლიციამ ებრაელი ფანები სტადიონიდან და საერთოდ ქალაქიდან გაიყვანა, მათგან ორი დააპატიმრა. რაღა თქმა უნდა, რაც მატჩის დროს მოხდა, ყოველივე უეფას ვუპატაკე.

**დავით თავართქილაძე**



ლევან ფანიაშვილი

# ქომის სტადიონს სულაქველიძის სახელი მიანიჭეს

ქუთაისში, ჭომის უბანში მდებარე საფეხბურთო მოედანს ქალაქის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელის, **თენგიზ სულაქველიძის** სახელი მიენიჭა.

ამჟამად სტადიონზე მხოლოდ ბავშვთა ორი ასაკობრივი ჯგუფი ვარჯიშობს. როგორც იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა **ვალერი მანაგაძემ** გვითხრა, ქალაქის მერია და საკრებულო სამომავლოდ მოედნის კეთილმოწყობას აპირებენ და იქ თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიის ფილიალის დაარსება იგეგმება.

ვალერი მანაგაძე: *„ამ იდეის ინიციატორები ჩვენ ვიყავით და გვიხარია, რომ ჭომის სტადიონს თენგიზ სულაქველიძის სახელი დაერქვა. დიდი ფეხბურთელი იყო და ასეთ პატივისცემას იმსახურებს კიდეც. ამ სტადიონზე არაერთი სახელოვანი ფეხბურთელი აღზრდილა. პატარაობისას თენგიზ სულაქველიძეც აქ აგორებდა ბურთს. ჭომა ძირძველი უბანია. თუ სტადიონი მოწესრიგდება და იქ საფეხბურთო სკოლა გაკეთდება, ფეხბურთით უამრავი ბავშვი დაკავდება.*

*ბატონმა თენგიზმა თავად გამოთქვა სურვილი, რომ ჭომის სტადიონზე თავისი აკადემიის ფილიალი გაიხსნას. ამ გზით ქუთაისში ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა გამოჩნდება. ფილიალში თავგამოჩენილ ფეხბურთელებს კი აკადემიაში გადაიყვანენ, ყოველივე ეს კი ქართულ ფეხბურთს წაადგება."*

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ნოვაცია

# განსაკუთრებული ტესტი ფეხბურთელებისთვის

**1976-81 წლებში თბილისის "დინამოს" ფეხბურთელი, წინა სეზონში თბილისის "ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი ამირან მინაშვილი ფეხბურთელებს ქართულ კლუბებში მოწყობისთვის ახალ მეთოდს სთავაზობს. მინაშვილმა საამისოდ სპეციალური პროგრამა შეიმუშავა, რაც, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს არც ფეხბურთელებისთვის და საერთოდ, ქართულ ფეხბურთში მოსაქმე ხალხისთვის.**

- ფეხბურთელი გასასინჯად ხშირად მიდის ისეთ გუნდში, რომლისთვისაც ის მზად არ არის. ამ პროგრამით კი შესაძლებელია, რომ მოთამაშემ ისეთ გუნდს მიაგნოს, სადაც არის მისი ადგილი და სადაც სჭირდებათ.

**- და თქვენი პროგრამა ფეხბურთელს ამაში როგორ დაეხმარება?**

- უმაღლესი ლიგა, პირველი ლიგა, რეგიონული ლიგა, ჭაბუკთა ლიგა და საფეხბურთო აკადემიები - პროგრამა ფეხბურთელთა აქ მოხვედრას ითვალისწინებს მათი ასაკისა და ინტერესის მიხედვით. პროგრამის ტექნოლოგია კი ასეთია - პროგრამაში მონაწილე ფეხბურთელების მონაცემთა ბაზის მიხედვით გავმართავთ ტესტმატჩებს, რომლებსაც დაესწრებიან მწვრთნელები, ვეტერანი ფეხბურთელები და თავიანთ აზრს დააფიქსირებენ ყველა ფეხბურთელზე, თუ რა მიმართულებით სჭირდებათ მათ მუშაობა წინსვლისთვის. ამ ტესტმატჩებს სხვადასხვა კლუბის წარმომადგენლებიც დაესწრებიან, რათა ისინიც დააკვირდნენ მათთვის საინტერესო მოთამაშეებს.

**- მოწვეულმა სპეციალისტებმა ფეხბურთელებს კლუბებში უნდა გაუწიონ რეკომენდაცია?**

- არა, ისინი უბრალოდ, რჩევას მისცემენ ფეხბურთელებს, თუ რომელ ლიგაში და რა რანგის გუნდში სათამაშოდ არიან მზად კონკრეტულ მომენტში.

**- ფეხბურთელი რამდენ მატჩში გამოიცდება?**

- ერთი ტესტი ერთ მატჩს გულისხმობს, თუმცა ეს ერთჯერადი არ იქნება. ფეხბურთელს შეეძლება თამაში. სასურველია, რომ თვეში ერთხელ მაინც გაიმართოს. ასეთი თამაშები საქართველოს საუკეთესო სტადიონებზე გაიმართება. პროგრამის უპირატესობა ისაა, რომ ფეხბურთელი დაძაბული არ არის, მხოლოდ ერთი შანსი არ აქვს, რამდენიმე ტესტ-მატჩს ითამაშებს და მყისვე იმ გუნდში არ მიდის, სადაც სურს თამაში - ამისთვის სათანადოდ ემზადება, სპეციალისტებისგან და ვეტერანებისგან რჩევებს იღებს. ამ პროგრამის განხორციელება ჩემი იდეა კია, მაგრამ ეს ჩემი გამოგონება არ არის, აპრობირებული მეთოდია, რომელსაც, მაგალითად, ინგლისშიც იყენებენ.

**- პროგრამაში გაწევრება ფასიანია?**

- დიახ, რამეთუ საორგანიზაციო საკითხების მოგვარება გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ვფიქრობ, ეს არანაირ დაბრკოლებას არ შექმნის. ეს პროგრამა პირველ რიგში ფეხბურთელთა ინტერესებს ემსახურება. როცა დაინტერესებული ფეხბურთელები მომაკითხავენ, მათ ყველაფერს დაწვრილებით ავუხსნი და თავად დარწმუნდებიან, რომ ამ პროგრამის უმთავრესი პრიორიტეტი ფეხბურთელის დახმარებაა. ტესტმატჩები ვიდეოჩანაწერებითაც გაირჩევა და სპეციალისტები ასეც მიუთითებენ ფეხბურთელებს ნაკლზე, მისცემენ რჩევებს, თუ რა მიმართულებით გააგრძელონ ვარჯიში. ფეხბურთელი ვიყავი და საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, თუ რა დახმარება სჭირდება ახალგაზრდას სწორ გზაზე დასაყენებლად, თუ როგორ მიდის ეს პროცესი. ჩემთვის ამ პროექტის განხორციელება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რომ უმაღლესი ლიგის რომელიმე გუნდი ჩავიბარო და ჩემპიონობა მოვიპოვო. თუ ამ პროექტით რომელიმე ფეხბურთელი უმაღლესი ან პირველი ლიგის გუნდში მოხვდება, თუნდაც "დინამოს" ან "ოლიმპის" აკადემიაში, ეს უკვე მნიშვნელოვანი წარმატება იქნება.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერები

# ონიანი კიოლნთან ითამაშებსო...



გიორგი ონიანი

მიმდინარე სეზონის წინ, **გიორგი ონიანი** ქვეყნის ჩემპიონ რუსთავის "ოლიმპიდან" მეორე ბუნდესლიგის "კარლ ცაისში" გადავიდა. თუმცა იენელთა გუნდში ონიანს ოფიციალური დებიუტი ჯერ არ ჰქონია. საქმე ის გახლავთ, რომ ქართველი მცველი მოსამზადებელ შეკრებაზე გამართულ ერთ-ერთ საკონტროლო შეხვედრაში დაშავდა. გიორგიმ ტრავმა მალე მოირჩინა და სარეაბილიტაციო კურსის დასრულების შემდეგ ფორმის აღდგენას შეუდგა. უფრო მეტიც, გასულ უქმეებზე ჩატარებულ მეორე ტურში, "ზანკტ პაულისთან" (0:1) ონიანი სათადარიგოთა შორის იყო, მაგრამ თამაში არ მოუწია.

როგორც ჩანს, მეორე ბუნდესლიგაში ონიანის დებიუტი დღეს შედგება.

*"გიორგი ონიანი კი გამოჯანმრთელდა, მაგრამ "ზანკტ პაულისთან" ფორმაში არ იყო და ამიტომაც თამაში არ მოუწია. ის ახლა უკეთ გამოიყურება და ალბათ, მომდევნო შეხვედრაში ითამაშებს"*, - განაცხადა გერმანულ პრესასთან საუბარში "კარლ ცაისის" მთავარმა მწვრთნელმა **ფრანკ ნოიბარტმა**. ამავე გუნდის სხვა ქართველებზე, გერმანული წყაროები გუშინ არაფერს წერდნენ.

მესამე ტურის შეხვედრას, იენელები დღეს, "კიოლნთან" სტუმრად გამართავენ.

**დავით ცაბაძე**

# ქართველები თურქეთში

ამ დროისთვის თურქეთის სუპერლიგაში არც ერთი ქართველი არ არის, თუმც ოსმალეთში ჩვენებურები მაინც მიდიან.

თურქეთის ერთ-ერთი ქვედა ლიგის "აიაზსფორში" ორი ქართველი მივიდა - **კახა ქაცარავა**, ვინც ბოლოს "ბათუმში" თამაშობდა და **ზაზა ზირაქიშვილი**, 2001 წლის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირი და საუკეთესო ფეხბურთელი. ზირაქიშვილი 2006-07 წლების სეზონში უგუნდოდ იყო, მანამდე კი 13-ჯერ (!) გადავიდა ერთი გუნდიდან მეორეში. ქაცარავა და ზირაქიშვილი ფორმალობების მოგვარებას უცდიან, მათი ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილია.

წინა სეზონში თურქეთის ასევე ერთ-ერთ ქვედა ლიგაში წარმატებით გამოვიდა "ჰადინქოისფორი", რომელმაც რანგით უკეთესი ლიგის საგზური ქართველების დახმარებითაც მოიპოვა - მცველი **დავით ბაქრაძე** და შემტევი **დავით დათვაძე**. ისინი საამსეზონოდაც "ჰადინქოისფორში" დარჩნენ და მესამე ლიგაში ითამაშებენ.

**დავით თავართქილაძე**

ამხანაგური მატჩების გამოხმაურება. უნგრეთი-იტალია 3:1

# უნგრეთს მატერაცი შეეწირა

## ინტერის მცველი საშობაოდ თუ დაბრუნდება. ბუფონი თანაგუნდელებს მისდგა

**უნგრეთი-იტალია 3:1**

**უნგრეთი:** ფულოპი, შელესი, ვაშკო, იუჰაში, ვანჩაკი (73. ციუმადია), ვასი, ჰაინალი (59. ფილკორი), ტოცერი (59. ლეანდრო), გერა, პრისკინი (73. ფეჟეშინი), დჟუდჩაკი (82. ჰალმოში).

**იტალია:** ბუფონი, ოდო (46. გროსო), კანავარო, მატერაცი (46. ბარძალი), ძამბროტა, ამბროზინი, პირლო, კვალიარელა, აკვილანი (67. პალომბო), დელ პიერო (46. დი ნატალე), ტონი (46. ინძაგი).

**გოლები:** 0:1 დი ნატალე (49), 1:1 იუჰაში (61), 2:1 გერა (66-პენ), 3:1 ფეჟეშინი (76)

**მაყურებელი:** 40 000

იტალიის ნაკრებმა ბუდაპეშტში მძიმე დარტყმა იგემა. "სკუადრა აძურა" დამარცხდა გუნდთან, რომელიც ბოლო ხანებში პერმანენტულ კრიზისშია. ამდენად, მსოფლიო ჩემპიონთა მწვრთნელ **რობერტო დონადონის** საფრანგეთთან ზეპრინციპული მატჩის (8 სექტემბერი, მილანი) წინ სერიოზული დაფიქრება მართებს. გადახედავს თუ არა "დონი" შემადგენლობას, ეს კიდევ ცალკე საუბრის თემაა. არადა, **ჯენარო გატუზოს, დანიელე დე როსისა** და **სიმონე პეროტას** არყოფნაშიც კი იტალიის ნაკრების შემადგენლობა ფრიად სოლიდური გახლდათ. ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც ქება შეიძლება დაიმსახუროს, **ანტონიო დი ნატალეა** (გოლის ავტორი). იმედები ვერ გაამართლეს **ფაბიო კვალიარელამ** და **ალბერტო აკვილანიმ**. ეს უკანასკნელი სასტარტოში გამოუვალი მდგომარეობის გამო მოხვდა, კვალიარელამ კი, შესანიშნავი ლიტვური დუბლის ფონზე, გუშინწინ ვერაფერი შთაბეჭდილება დატოვა.

იტალიური პრესა ნაკრების მარცხს მოჩვენებითი სიმშვიდით შეხვდა. ეს გასაგებია, რადგან ერთი, რომ მატჩი ამხანაგური იყო (თუმცა პროფესიონალი ფეხბურთელისთვის ნებისმიერი მარცხი ნეგატიური მომენტების შემცველია და პრაქტიკა აჩვენებს, რომ ხშირად ეს ოფიციალურ მატჩებზეც აისახება), და მეორე, რომ ამ უიქენდზე სერია A-ს სტარტია და მედიისა თუ ფანების მთელი ყურადღება ახლა აქეთკენაა მიპყრობილი. ჩემპიონატის დაწყებას მოუთმენლად ელის დონადონიც, ოღონდ შესარჩევი მატჩების ჭრილში. სწორედ ამიტომ ითხოვდა მწვრთნელი მარათონის ერთი კვირით ადრე დაწყებას, რათა საფრანგეთთან თამაშის წინ ფეხბურთელები მეტ-ნაკლებად სასურველ კონდიციებში ყოფილიყვნენ. ახლა მას და იტალიის ფეხბურთის ფედერაციას უფრო მეტი საფუძველი აქვთ საიმისოდ, რომ გვიანი სტარტისთვის "ლეგა კალჩოს" კიდევ ერთხელ უსაყვედურონ. უშუალოდ თამაშზე კი დონადონიმ ეს თქვა:

*"ჩვენ ვეთამაშეთ გუნდს, რომელიც ამ მომენტისთვის უფრო კარგად იყო მომზადებული და შემართებაც არ აკლდა. თუმცა პირველ ტაიმში არც ჩვენ გვითამაშია ცუდად. მეორე ნახევარში კი, დი ნატალეს გოლის შემდეგ, თამაშზე კონტროლი დავკარგეთ და სულელური შეცდომების გამო დავისაჯეთ კიდეც. თუმცა არ მსურს, ჯოხი მხოლოდ დაცვაზე გადავტეხო. ეს ფეხბურთია და ხანდახან, ყველაფერი ისე არ გამოდის, როგორც გინდა. რაც შეეხება ჩემპიონატის ადრე დაწყებას, ამაზე ლაპარაკი ახლა უაზრობაა. უნდა ვიმოქმედოთ ისე, როგორც სიტუაცია გვიკარნახებს. ახლა სერიოზული მუშაობა გვმართებს ხარვეზების გამოსასწორებლად. საფრანგეთამდე ჩემპიონატის ორი ტურია და იმედია, მოთამაშეები 8 სექტემბრისთვის ბევრად უკეთეს ფორმაში იქნებიან".*

**ჯანლუიჯი ბუფონმა** კი თანაგუნდელები არ დაინდო და ღიად გააკრიტიკა. მისი აზრით, მარცხის მთავარი მიზეზი ყურადღების მოდუნება იყო: *"ვიცოდით, რომ ჩვენი ფიზიკური კონდიციები არ იქნებოდა საჭირო დონეზე და გასაგებია, რატომაც. მაგრამ ამ ვითარებაშიც კი, მით უმეტეს, როცა დავწინაურდით, მატჩის თუნდაც ფრედ დამთავრებაც არ უნდა ყოფილიყო პრობლემა. ჩვენ შეცდომა დავუშვით მაშინ, როცა ჩავთვალეთ, რომ საქმე მოთავებული იყო. აგვისტოში, ტრადიციულად, იტალიის ნაკრები ცუდ ფორმაშია, მაგრამ ვალდებულნი ვიყავით, მეტი შემართებით გვეთამაშა. მიმაჩნია, რომ ტიფოზებს ბოდიში უნდა მოვუხადოთ და მომავალ მატჩებს მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ".*

უნგრული ფიასკოს კიდევ ერთი მძიმე შედეგი **მარკო მატერაცის** ტრავმაა. "ინტერის" მცველმა ჯერ ბარძაყის კუნთი დაიზიანა, მერე კი მეტოქის თავური იგემა. მატერაცის ბუდაპეშტის ერთ-ერთ ჰოსპიტალში გადაყვანა შესთავაზეს, რაზეც მან კატეგორიული უარი განაცხადა. თავდაპირველად, ისე ჩანდა, თითქოს "მატრიქსს" მხოლოდ საფრანგეთთან მატჩის გამოტოვება მოუწევდა, მაგრამ როგორც იტალიის ნაკრების ექიმი **ანდრეა ფერეტი** აცხადებს, 32 წლის ცენტრალური მცველი, უკეთეს შემთხვევაში, მოედანს ამ წლის ბოლოს დაუბრუნდება.

*"თუ ის შობის დღესასწაულისთვის მოახერხებს გამოჯანმრთელებას, მისი ფანებისთვის ეს დიდი საჩუქარი იქნება"* - დასძენს ბატონი ფერეტი. მატერაცის ოპერაცია გუშინ, პატარა იტალიურ ქალაქ პავიაში გაუკეთეს.



დი ნატალე, იტალიელთა ერთადერთი გოლის ავტორი

შვეიცარია-ჰოლანდია 2:1

# ვან ნისტელროი დაბრუნდა და დამარცხდა

**რუუდ ვან ნისტელროი** ჰოლანდიის ნაკრებში დაბრუნდა. მაგრამ მისი ხელახალი დებიუტი მარცხით დასრულდა. ჰოლანდიელებმა შვეიცარიასთან 1:2 წააგეს. მასპინძელთა ორივე გოლი "ლევერკუზენის" ნახევარმცველმა **ტრანკილო ბარნეტამ** გაიტანა. მან მე-9 წუთზე პენალტით გახსნა ანგარიში. მეორე ტაიმის დასაწყისში კი ცაციათი მეორე აილო **მაარტენ სტეკელენბურგის** კარი. ვან ნისტელროი შარშანდელი მუნდიალის შემდეგ პირველად გამოიძახეს. მან ბევრი იმუშავა, მაგრამ შესვენებისას მაინც **დირკ კუიტით** შეცვალეს. "ლივერპულის" თავდამსხმელმა კი ბარნეტას მეორე გოლი ერთ წუთში გაქვითა. ნამატჩევს შვეიცარიელთა თავკაცი **კუბი კუნი** სიხარულს ვერ მალავდა. მისმა შეგირდებმა, ბოლოს და ბოლოს, ევროპული გრანდიც დაამარცხეს. შვეიცარიამ ჰოლანდიას უკანასკნელად 26 წლის წინათ მოუგო. **მარკო ვან ბასტენმა** მარცხს დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭა. მან ვან ნისტელროის თამაშიც დადებითად შეაფასა: *"რუუდი ცენტრალური თავდამსხმელია. მას თანაგუნდელებისგან კარგი პასები სჭირდება. მისი თამაშით კმაყოფილი ვარ. მიხარია, რომ შეტევაში ძლიერი ფეხბურთელი დაგვიბრუნდა."*

საბერძნეთი-ესპანეთი 2:3

# არც ერთი მადრიდელი ბერძნების წინააღმდეგ

ესპანეთმა გასვლით ამხანაგურ შეხვედრაში საბერძნეთს სძლია. თამაში უხვგოლიანი გამოდგა. პირინეელებმა სამჯერ იყოჩაღეს, მასპინძლები კი ორ ბურთს დასჯერდნენ. პაექრობამ ესპანურ პრესაში უჩვეულოდ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. მიზეზი ის არის, რომ **ლუის არაგონესმა,** ფაქტობრივად, ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო. "სელექსიონის" დამრიგებელმა მოედანზე "რეალის" არც ერთი ფეხბურთელი არ გაიყვანა. მსგავსი რამ ესპანური საკლუბო ფეხბურთის ისტორიაში ერთადერთხელ, 1994 წლის მუნდიალზე მოხდა. იმ დროინდელმა მწვრთნელმა, **ხავიერ კლემენტემ** ბოლივიასთან ჯგუფურ შეხვედრაში ძირითადი შემადგენლობა ასე დააკომპლექტა: *სუბისარეტა (ბარსელონა), ფერერი (ბარსელონა), აბელარდო (ხიხონი), ბორო (დეპორტივო), სერხი (ბარსელონა), გოიკოეჩეა (ბარსელონა), გვარდიოლა (ბარსელონა), გეურერო (ბილბაო), კამინერო (ატლეტიკო), ფელიპე (ტენერიფე), სალინასი (ბარსელონა).* როგორც ხედავთ, ბოლივიასთან პაექრობაში ბარსელონელები ჭარბობდნენ, მაგრამ იმ თამაშს "რეალის" ფეხბურთელის გარეშე მაინც არ ჩაუვლია. კლემენტემ შესვენების შემდეგ ლეგენდარული **ფერნანდო იერო** შეიყვანა. არაგონესმა საბერძნეთთან შესახვედრად სამეფო კლუბიდან მხოლოდ **სერხიო რამოსი** და **იკერ კასილიასი** გამოიძახა. მათ მიკრო ტრავმები აწუხებდათ, მაგრამ მიმომხილველების მტკიცებით, რამოსს თავისუფლად შეეძლო მატჩის მცირე მონაკვეთის ჩატარება.

ასე იყო თუ ისე, ესპანელებმა მოიგეს და სენიორ არაგონესი ამით ფრიად კმაყოფილი დარჩა: *"საბერძნეთში თამაში არასოდესაა იოლი. გულშემატკივრები ყოველთვის მე-12 ფეხბურთელის ფუნქციას ასრულებენ. 90 წუთის განმავლობაში მონდომებით ვიბრძოდით. ვაღიარებ, პრობლემებიც გვქონდა, მაგრამ მთლიანობაში ჩვენ გაცილებით უკეთ გამოვიყურებოდით. ჩემმა ბიჭებმა საუკეთესო კუთხით წარმოაჩინეს თავი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ უხარისხო მინდორზე ვითამაშეთ. მიხარია, რომ ტრავმა არავის მიუღია. ბიჭებს ვურჩიე, უხეში ორთაბრძოლებისთვის თავი აერიდებინათ."* აღსანიშნავია, რომ მოედნის საფარის უხარისხობის გამო, **ოტო რეჰაგელიც** არანაკლებ წუხდა და წუწუნებდა. გერმანელი სპეციალისტის თქმით, ასეთი დონის შეხვედრები, მხოლოდ და მხოლოდ, აბიბინებულ მინდორზე უნდა იმართებოდეს.

ინგლისი-გერმანია 1:2

# ინგლისი შალკემ დაამარცხა!

## ბრიტანული პრესა მაკლარენის გათავისუფლებას ითხოვს...

**ინგლისი-გერმანია 1:2**

**ინგლისი:** რობინსონი (46. ჯეიმსი), რიჩარდსი, რ. ფერდინანდი (46. ბრაუნი), ტერი, შორი, ბექჰემი, ქერიკი (55. ბერი), ლემპარდი, ჯ. კოული (70. რაიტ-ფილიპსი), ოუენი (57. დაიერი), ა. სმიტი (57. კრაუჩი).

**გერმანია:** ლემანი, ა. ფრიდრიხი, მერტეზაკერი, მეტცელდერი, პანდერი, ლამი, ოდონკორი (54. ჰილბერტი), ტროხოვსკი (72. როლფესი), ბ. შნაიდერი (91. კასტრო), ჰიტცლშპერგერი, კურანი.

**გოლები:** 1:0 ლემპარდი (9), 1:1 კურანი (26), 1:2 პანდერი (40).

**გაფრთხილება:** 1:0.

**მაყურებელი:** 86 133.

მნიშვნელობა არა აქვს, რას და როგორ აკეთებს გერმანიის ნაკრების თავკაცი **იოახიმ ლიოვი** - ფაქტი ერთია: მისი აბსოლუტურად ყველა იდეა ამართლებს! ბუნდესმწვრთნელი, რომელსაც ერთი წლის წინათ წარმატებას, ფაქტობრივად, არავინ უწინასწარმეტყველებდა, ვერც იმ ფაქტმა შეაჩერა, რომ 11 ფეხბურთელი ჰყავდა ტრავმირებული - გერმანიამ "უემბლიზე" ამხანაგური, მაგრამ ისტორიული გამარჯვება მოიპოვა, მოიგო რა ყველა დროის კლასიკური მატჩი. ეს კი, ლიოვის ხანაში რიგით მე-10 გამარჯვებაა და უნდა შეგახსენოთ, რომ მას მერე, რაც იოგი გერმანიას თავკაცობს, ბუნდესნაკრებმა 12 შეხვედრა ჩაატარა.

2000 წლის შემდეგ, როცა გერმანიამ ასევე იმარჯვა "უემბლიზე" (1:0), ბუნდესგუნდს დიდი გუნდისთვის მოგებული არ ჰქონდა (თუ არ ჩავთვლით, მსოფლიოს ჩემპიონატზე, არგენტინის დამარცხებას პენალტების სერიაში) და აი, 7 წლის შემდეგ, ისევ ინგლისი გამოდგა ის გრანდი, რომელიც გერმანიასთან ძირითად დროში დამარცხდა. მატჩის გმირები კი, "შალკეს" ფეხბურთელები, **კრისტიან პანდერი** და **კევინ კურანი** გახდნენ. ბარემ აქვე გეტყვით, რომ შეხვედრას **იურგენ კლინსმანიც** დაესწრო, რომელიც ტრიბუნაზე ტრავმირებულ **მიხაელ ბალაკთან** და **რუდი ფიოლერთან** ერთად იჯდა. საპატიო ლოჟაში გახლდათ გერმანიის კანცლერი **ანგელა მერკელიც**.

ლიოვმა ერთი ფორვარდით ითამაშა. ალბათ იმიტომ, რომ **შტეფან კისლინგის** ან **პატრიკ ჰელმესის** ძირითად შემადგენლობაში გამწესება ვერ გარისკა და ეს ფორვარდები მოედანზე არც მეორე ტაიმში შეუყვანია. იოგის მთავარი სიურპრიზი კი ის გახლდათ, რომ **ფილიპ ლამმა** პირველად ითამაშა საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე და აღსანიშნავია, რომ მწვრთნელის იმედები გაამართლა. რაც შეეხება ინგლისის ნაკრებს: **სტივ მაკლარენმა** ტრადიციული, 4-4-2-ით ათამაშა გუნდი. თავდასხმაში, **მაიკლ ოუენთან** ერთად, მოულოდნელად არა **პიტერ კრაუჩი**, არამედ **ალან სმიტი** გახლდათ გამწესებული, რომელსაც ხეირიანი არაფერი გაუკეთებია. ამიტომაც იყო, მაკლარენმა ის მეორე ტაიმში ლივერპულელით რომ შეცვალა.

მატჩის დაწყებამდე, ინგლისელმა ფანებმა ტრიბუნაზე უდიდესი ტრანსფარანტი გადმოფინეს, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა: *"გმადლობთ 2006 წლის მუნდიალისთვის!"* **ფრანც ბეკენბაუერმა** კი, ამაყად თქვა, რაკი ჩემს მიერ ორგანიზებული მუნდიალი ინგლისელებსაც მოეწონათ, ე.ი. მართლაც ძალიან კარგად მიმუშავიაო. უშუალოდ შეხვედრა 8 წუთის დაგვიანებით დაიწყო, რადგან გერმანიის ნაკრების ავტობუსი საცობში მოყვა და "უემბლიზე" გვიან მივიდა. პირველი საგოლე მომენტი კი ინგლისელებმა შექმნეს, რომელსაც **იენს ლემანის** კარში გატანილი გოლი მოჰყვა: **რიჩარდსმა** მარჯვენა ფლანგიდან შეუტია და **პანდერი** აცეკვა, რის შემდეგაც **ლემპარდს** უპასა. ამ უკანასკნელმა კი 10 მეტრიდან აულებელი დაურტყა ლემანს. გერმანელთა კარის დარაჯი ამ გოლის გამო ძალიან გაბრაზდებოდა, რადგან ჯერ ერთი, ბურთი ახლო, მისგან დაცულ კუთხეში გაუშვა და ესეც არ იყოს, იენსი იმ ლემპარდმა დაამწუხრა, რომელთანაც მას სულ უთანხმოება აქვს. შესაბამისად, ლემანი არც ინგლისელ ქომაგებს ეხატებათ გულზე - მას ბურთის ყოველი მიღებისას, ტრიბუნებიდან გამაყრუებელი სტვენის მოსმენა უხდებოდა.

თუმცა ფანებმა ინგლისის კარის დარაჯ **რობინსონსაც** მაგრად უსტვინეს. ოღონდ სულ სხვა მიზეზის გამო: **შნაიდერის** ჩაწოდების შემდეგ, დაბნეულმა რობინსონმა ბურთი პირდაპირ კურანის დაუგდო, რომელსაც გოლის გატანა, რა თქმა უნდა, არ გასჭირვებია. ეს გახლდათ კურანის რიგით მე-19 გოლი გერმანიის ნაკრებში. კევინის გოლს 8 000-მდე გერმანელი ქომაგის აღფრთოვანება და სიმღერა მოჰყვა - ალემანებმა Football's coming home შემოსძახეს.

მე-40 წუთზე ბუნდესგუნდი წინ გავიდა, გოლის ავტორი კი კვლავ შალკელი გამოდგა, ამჯერად პანდერი, რომელიც დღესდღეობით შესანიშნავ ფორმაშია. **ლევან კობიაშვილის** თანაკლუბელმა ლემპარდის გოლის დროს დაშვებული შეცდომა გამოასწორა და რობინსონი 22 მეტრიდან, უძლიერესი დარტყმით დაამწუხრა. პირველი ტაიმის მიწურულს, ლიოვის გუნდი ჯერ ლემანმა იხსნა (ოუენის თავური დარტყმა მოიგერია), მერე კი ძელმა (ისევ ოუენი).

მეორე ტაიმში, ცხადია, ინგლისელები უფრო უტევდნენ და რამდენიმე მომენტი შექმნეს. ჯერ, დასარტყმელ პოზიციაში მყოფ **დაიერს მეტცელდერმა** აართვა ბურთი მოხდენილად, მერე კი, იმავე დაიერმა ლემანის კარს მცირე მანძილით ააცილა. 77-ე წუთზე, **ჯონ ტერის** დარტყმის შემდეგ, ბურთი კარიდან ლამმა გამოიტანა. დარჩენილ დროში მაკლარენის გუნდი ბევრს ეცადა, მაგრამ საწადელს კი ვერ მიაღწია. ამრიგად, ეს გახლდათ ინგლისისა და გერმანიის რიგით 30-ე დაპირისპირება. გერმანელებს 10 თამაში აქვთ მოგებული, 6 მატჩი ფრედ დასრულდა, 14-ში კი ინგლისელებმა იმარჯვეს.

მეორე დღეს, ინგლისურმა პრესამ მაკლარენი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა. აი, რას წერდნენ ჩვენი ბრიტანელი კოლეგები:

**"თაიმსი"**: *"რობინსონმა გერმანელებს გამარჯვება აჩუქა. ეს მარცხი ძალიან გვაშინებს და გვაფიქრებინებს, რომ მაკლრენი ევროპის ჩემპიონატზე ვერ გაგვიყვანს!"*

**"ინდეპენდენტი"**: *"გერმანიამ ისევ ჩაგვიმწარა ზეიმი. ჩვენი გუნდის ერთადერთი ნათელი წერტილი რიჩარდსი იყო. გერმანიის მეორე გუნდთან მარცხი სამარცხვინო და შოკისმომგვრელია. მაკლარენის პოსტზე გაჩერება აღარ შეიძლება!"*

**"გარდიანი"**: *"მაკლრენის დღეები დათვლილია!"*

**"სანი"**: *"ეს იყო განავალი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით! ინგლისი არავისთვის აღარაა საშიში მეტოქე, ისეთი ქვეყნებისთვისაც კი, როგორებიც არიან ანდორა და ესტონეთი. ეს კი, პირველ რიგში, მწვრთნელის ბრალია!"*



კრისტიან პანდერს გააქვს მეორე გოლი ინგლისელთა კარში

### ოუბინია, კამაჩოს პირველი შენაძენი?

**ხოსე ანტონიო კამაჩოს** "ბენფიკაში" საკადრო პრობლემები დახვდა. ბრაზილიელმა მცველმა **დავიდ ლუიშმა** ტერფის ძვალი გაიტეხა და თვენახევარი ან ორი თვე ვერ ითამაშებს. დაშავებულია მისი თანამემამულე მცველი **ლუიზაო**. კოტდივუარელი უკანახაზელი **მარკ ზოროც** ტრავმირებულია, ხოლო კიდევ ერთი მცველი, ბრაზილიელი კლებერი "ლიონში" გადასვლას აპირებს. კამაჩომ ნახევარდაცვის გასაძლიერებლად სელტელი **ბორხა ოუბინიას** შეძენა გადაწყვიტა. 25 წლის ფეხბურთელს "ვილიარეალი", "სარაგოსა", "ატლეტიკო" და "მანჩესტერ სიტიც" ეპატიჟებიან. ლისაბონელებს 10 მილიონი ევრო აქვთ გამზადებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალია. სერია A 2007/08. განაცხადები

## ინტერი
დაარსდა: 1908
სტადიონი: ჯუზეპე მეაცა (85 700)

### მეკარეები
1. ფრანჩესკო ტოლდო 02.12.71
12. ჟულიო სეზარი (ბრა) 03.09.79
22. პაოლო ორლანდონი 12.08.72

### მცველები
2. ივან კორდობა (კოლ) 11.08.76
4. ხავიერ ძანეტი (არგ) 10.08.73
13. დუგლას მაიკონი (ბრა) 26.07.81
16. ნიკოლას ბურდისო (არგ) 12.04.81
17. ფრანჩესკო კოკო 08.01.77
23. მარკო მატერაცი 19.08.73
24. ნელსონ რივასი (კოლ) 25.03.82
25. ვალტერ სამუელი (არგ) 23.03.78
26. კრისტიან კივუ (რუმ) 26.10.80

### ნახევარმცველები
5. დეიან სტანკოვიჩი (სერ) 11.09.78
6. მაქსველ ანდრადე (ბრა) 27.08.81
7. ლუის ფიგუ (პორ) 04.11.72
11. ლუის ხიმენესი (ჩილ) 17.06.84
14. პატრიკ ვიეირა (საფ) 23.06.76
15. ოლივიე დაკური (საფ) 25.09.74
19. ესტებან კამბიასო (არგ) 18.08.80
21. სანტიაგო სოლარი (არგ) 07.10.76
31. სეზარ აპარესიდო (ბრა) 24.10.74
47. ფრანჩესკო ბოლზონი 07.05.89
50. იბრაჰიმ მაარუფი (ბელ) 18.01.89
57. ატილა ფილკორი (უნგ) 12.07.88

### თავდამსხმელები
8. ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედ) 03.10.81
9. ხულიო კრუსი (არგ) 10.10.74
10. ადრიანო ლეიტე (ბრა) 17.02.82
18. ერნან კრესპო (არგ) 05.07.75
20. ალვარო რეკობა (ურუ) 17.03.76
29. დავიდ სუაზო (ჰონ) 05.11.79
61. გორან სლავკოვიჩი (შვედ) 08.04.89

*მწვრთნელი:* რობერტო მანჩინი, 27.11.64

## მილანი
დაარსდა: 1899
სტადიონი: ჯუზეპე მეაცა (85 700)

### მეკარეები
1. ნელსონ დიდა (ბრა) 07.10.73
12. ვალერიო ფიორი 27.04.69
29. ჟელკო კალაჩი (ავსტრალ) 16.12.72

### მცველები
2. მარკუს კაფუ (ბრა) 07.06.70
3. პაოლო მალდინი 26.06.68
4. კახა კალაძე (საქ) 27.02.78
13. ალესანდრო ნესტა 19.03.76
17. დარიო შიმიჩი (ხორ) 12.11.75
18. მარეკ იანკულოვსკი (ჩეხ) 09.05.77
19. ჯუზეპე ფავალი 08.01.72
25. დანიელე ბონერა 31.05.81
27. სერჟინიო დოს სანტოსი (ბრა) 27.06.71
44. მასიმო ოდო 14.06.76
როდრიგო დიგაუ (ბრა) 14.08.85

### ნახევარმცველები
8. ჯენარო გატუზო 09.01.78
10. კლარენს ზეედორფი (ჰოლ) 01.04.76
20. იოან გურკუფი (საფ) 11.07.86
21. ანდრეა პირლო 19.05.79
23. მასიმო ამბროზინი 29.05.77
32. კრისტიან ბროკი 30.01.76
ფერეირა ემერსონი (ბრა) 04.04.76
იბრაჰიმ ბა (საფ) 12.01.73

### თავდამსხმელები
9. ფილიპო ინძაგი 09.08.73
11. ალბერტო ჯილარდინო 05.07.82
22. რიკარდო ლეიტე კაკა (ბრა) 22.04.82
35. ვილი ოზემეიანგი (საფ) 16.02.87
99. რონალდო (ბრა) 22.09.76

*მწვრთნელი:* კარლო ანჩელოტი, 10.06.59

## ნაპოლი
დაარსდა: 1904
სტადიონი: სან პაოლო (78 210)

### მეკარეები
1. ჯენარო იეცო 08.06.73
12. ბიაჯო დელ ჯუდიჩე 10.07.88
22. მატეო ჯანელო 07.05.76

### მცველები
2. ჯანლუკა გრავა 07.03.77
3. ერმინიო რულო 19.02.84
6. რუბენ მალდონადო (პარ) 25.04.79
14. დიორდ გარიჩი (ავსტ) 08.03.84
16. ანდრეა კუპი 27.01.76
19. მირკო სავინი 11.03.79
26. მაურიციო დომიცი 28.06.80
28. პაოლო კანავარო 26.06.81
55. ტომაზო რომიტო 09.02.82
96. მატეო კონტინი 23.03.76

### ნახევარმცველები
4. ფრანჩესკო მონტერვინო 07.05.78
5. ფაბიო გატი 04.01.82
8. მანუელე ბლაზი 17.08.80
17. მარკო კაპარელა 28.03.75
18. მარიანო ბოგლიაჩინო (ურუ) 02.06.80
20. რობერტო დე ძერბი 06.06.79
23. ვალტერ გარგანო (ურუ) 27.07.84
24. სამუელე დალა ბონა 06.02.81
17. მარეკ ჰამშიკი (სლოვაკ) 22.07.87

### თავდამსხმელები
7. ეზეკიელ ლაველი (არგ) 03.05.85
9. რობერტო კარლოს სოსა (არგ) 24.01.75
11. ემანუელე კალაიო 08.01.82
25. მარსელო სალაიეტა (ურუ) 05.12.78
82. გაეტანო გრიეკო 07.11.82

*მწვრთნელი:* ედოარდო რეია, 10.01.45

## კალიარი
დაარსდა: 1920
სტადიონი: სანტ'ელია (23 486)

### მეკარეები
1. ვინჩენცო მარუოკო 26.03.79
12. იან კოპრივეცი (სლოვენ) 15.07.88
16. მარკო ფორტინი 08.07.74

### მცველები
3. კრისტიანო დელ გროსო 24.03.83
6. დიეგო ლოპესი (ურუ) 22.08.74
14. ფრანჩესკო პიზანო 29.04.86
20. პაოლო ბიანკო 20.08.77
21. მიკელე კანინი 05.06.85
22. ჯო ბიძერა (ურუ) 17.05.80
27. ჯაკომო გარაუ 27.02.88
28. დანიელე მაგლიოკეტი 11.05.86
29. მიკელე ფერი 28.05.81
31. ალესანდრო აგოსტინი 23.07.79

### ნახევარმცველები
2. დავიდე მარკინი 23.02.81
4. ალესანდრო ბუდელი 25.02.81
5. დანიელე კონტი 09.01.79
7. ანტონიო დაგოსტინო 08.10.78
8. დავიდე ბიონდინი 24.01.83
10. პასკუალე ფოჯა 03.06.83
18. ანდრეა პაროლა 22.04.79
23. მიკელე ფინი 14.06.74
24. რივზატ ზალა (შვეიც) 26.09.83
26. მარკო მანკოზუ 22.08.88

### თავდამსხმელები
9. რობერტ აკუაფრესკა 11.09.87
19. ხოაკინ ლარივეი (არგ) 20.08.84
25. მარკო საუ 03.12.87
32. ალესანდრო მატრი 19.08.84

*მწვრთნელი:* მარკო ჯამპაოლო, 02.08.67

## ჯენოა
დაარსდა: 1893
სტადიონი: ლუიჯი ფერარისი (36 536)

### მეკარეები
1. ჯანლუკა პეგოლო 25.03.81
73. ალესიო სკარპი 19.04.73
83. ფერნანდო რუბინიო (ბრა) 04.08.83

### მცველები
3. ჩეზარე ბოვო 14.01.83
4. ფრანჩესკო ბეგა 26.10.74
24. აბდულაი კონკო (საფ) 09.03.84
25. გაეტანო დე როზა 10.05.73
*- დენგი მართლაც ძლიერი კალათბურთელია. მის წინააღმდეგ თამაში ძალიან საინტერესო იყო. ვფიქრობ, დენგის მეურვეობისთვის თავის წარმატებით გართმევა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სასარგებლო იყო, ავსტრიასთანაც და ფინეთთანაც ხომ მთავარი მექულეების დაჭერა მომიწევს. სუომელთა შემადგენლობაში საუკეთესო ხომ ჩემი ყოფილი თანაგუნდელი ტეემუ რანიკოა.*

ახლა **კენ შილდსის** მოსაზრება ლუქსემბურგთან მატჩზე:

*"იმ შეხვედრაში იოლად მოვიგეთ. გამარჯვებულის ბედი ფაქტობრივად პირველ მეოთხედში გადავწყვიტეთ - 26:8 ვიმარჯვეთ, მაგრამ ლუქსემბურგში გამოჩნდა, რომ მთელი 40 წუთის თანაბარ დონეზე თამაში გვიჭირს. მატჩიდან მატჩამდე ვუმატებთ და ვფიქრობ, ავსტრიასთან კიდევ უფრო უკეთ უნდა გამოვიყურებოდეთ. ოღონდ შაბათის მატჩი პირველთან შედარებით ერთიორად რთული იქნება. ავსტრიელებს მობილური გუნდი და კარგი მსროლელები ჰყავთ".*

მომავალ მატჩებზე აზრი გამოთქვა ნაკრების კაპიტანმა **ვახტანგ ნაცვლიშვილმა**:

*"შეიძლება მწვრთნელის თვალით ჩანდა, რომ ლუქსემბურგში რაღაც ვერ შევასრულეთ, მაგრამ საერთო ჯამში აშკარად იოლი მატჩი გამოგვივიდა. არაერთხელ აღვნიშნე, რომ ჩვენთვის მთავარი არა ფინეთის, არამედ ავსტრიისა და ისლანდიის წინააღმდეგ მატჩებია. მათი მოგება იოლი არ იქნება, მაგრამ შესაძლებლობები ბოლომდე უნდა გამოვავლინოთ".*

**ნუგზარ სუარიძის** ფოტოები



კენ შილდსი ვიქტორ სანიკიძეს სასტარტო ხუთეულისთვის ამზადებს

ავსტრიელები თბილისში



ჰუბერ შნაიდერი

# დარბაზი გაივსება?

ავსტრიელები თბილისის აეროპორტში 17 საათზე დაეშვნენ და ზუსტად ერთ საათში სასტუმრო "ვარაზში" დაბინავდნენ.

როგორც ავსტრიელთა მწვრთნელი, ასევე მოთამაშეები ფინეთთან მარცხის შემდეგ დათრგუნულები ჩანდნენ და ხაზს უსვამდნენ საქართველოს ნაკრების სიძლიერეს. სტუმართა კაპიტანი იტალიის სერია A-ში მოთამაშე **ბენიამინ ორტნერი** მატჩის პროგნოზისგან თავს იკავებს:

*"ვეცდებით, კარგი თამაში ვუჩვენოთ, მაგრამ იმასაც ვაცნობიერებთ, რომ საქმე B დივიზიონის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან გვაქვს. ფაჩულიას წინამძღოლობით ქართველებმა შარშანაც მოგვიგეს და ვფიქრობ, გასვლის მატჩში გამარჯვება ძალიან გაგვიჭირდება.*

ავსტრიელთა თავკაცმა **ჰუბერტ შრაინერმა** შარშანდელი ამბები გაიხსენა:

*- ქართველებს წინა მატჩში თანაბრად ვეთამაშეთ და გამარჯვების დიდი შანსიც გვქონდა. იმ შეხვედრამ გვიჩვენა, რომ თქვენს ნაკრებთან თამაში თანაბრად შეგვიძლია, მაგრამ რამდენად მოვახერხებთ ამას სავსე ტრიბუნების წინაშე, ძნელი სათქმელია".*

მწვრთნელმა იქვე იკითხა - სპორტის სასახლეში რამდენი ქომაგი ეტევაო. როცა შეიტყო, თამაშზე შეიძლება 8-10 ათასი გულშემატკივარი მივიდეს, ძალიან გაიკვირვა და იმედი გამოთქვა, რომ ქართველებს დარბაზში მისვლას არ ანანებინებს და ღირსეულ თამაშს დაუპირისპირებს.

ჰუბერტ შრაინერმა ბოლოს ფინეთთან თამაშიც გაიხსენა:

*"დაცვაში ძალიან ცუდად ვითამაშეთ. ტეემუ რანიკოს წინამძღოლობით ფინელებმა რამდენიც ისროლეს, ყველა კალათში მოათავსეს, რამაც ჩვენი გუნდი ცოტა დააბნია. თუმცა ბოლო მეოთხედში სხვაობა შევამცირეთ და გადასწრების შანსიც გვქონდა, მაგრამ იმავე რანიკომ თამაშის შემოტრიალების საშუალება არ მოგვცა".*


კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

B დივიზიონი

25 აგვისტო

საქართველო vs ავსტრია

დასაწყისი: 19.00

2 სექტემბერი

საქართველო vs ფინეთი

დასაწყისი: 19.00

სახალხო ბანკი

PEOPLE'S BANK

GEOSPORT

სასტუმრო ვარაზი

HOTEL VARAZI

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# პირველი გამარჯვება ფლეშინგ მედოუზე


მაკა ჩახნაშვილი

ამერიკის ღია პირველობაზე კარიერაში პირველი გამარჯვება იზეიმა 24 წლის საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა **მაკა ჩახნაშვილმა** (159) "ფლეშინგ მედოუს" კორტებზე. მაკა მეორედ ასპარეზობს. ნიუ იორკში, შარშან მან პირველივე საკვალიფიკაციო წრეში იწვნია მარცხი, წლეულს ჩახნაშვილმა პირველ წრეში იტალიელი **ნატალი ვიერინი** (189) დაამარცხა. პირველ სეტში ქართველი 4:6 დამარცხდა, მეორეში კი 1:5 აგებდა და მეტოქეს ერთი მატჩ-პოინტიც ჰქონდა. მაკამ თავი დაალწია თითქმის უიმედო მდგომარეობას და ტაი-ბრეიკში იმარჯვა - 7:4. გადამწყვეტ სეტში მაკამ ერთხელ შეძლო მეტოქის მოწოდების მოგება - 4:6, 7:6, 6:4. მეორე საკვალიფიკაციო წრეში მაკა ჩახნაშვილი მე-9 ნომრად განთესილ ფრანგ **იულია ფედოსოვას** (109) შეხვდება. ფედოსოვასაც გაუჭირდა პირველი ბარიერის გადალახვა, მან ლუქსემბურგელ **მენდი მინელას** (679) მოუგო - 6:7, 7:6, 6:3.

17 წლის **ანა ტატიშვილმა** (284), რომელიც ამერიკის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ბადეში "უაილდ ქარდით" მოხვდა, წუხელ გვიან ღამით ითამაშა მე-12 ნომრად განთესილ არგენტინელ **ხორხელინა კრავეროსთან** (116) და დამარცხდა - 3:6, 1:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ხელბურთი

ევროთასები

# ტრადიცია გრძელდება: სტუმრადმასპინძლობა

ორიოდე კვირაც და ჩვენი ხელბურთო კლუბები კიდევ ერთხელ წარდგებიან ევროთასებზე. სამწუხაროდ, საქმეს აქედანვე ისეთი პირი უჩანს, რომ ალბათ ამჯერადაც პირველსავე ეტაპზე, უსახელოდ გამოვეთხოვებით ევროასპარეზს.

როგორც იცით, წლეულს, საქართველოს ჩემპიონი სტუ-"თელავი" და ვერცხლის პრიზიორი "თბილისი" ბებერი კონტინენტის რანგით მეორე ტურნირზე - ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე ითამაშებენ (ჩემპიონთა ლიგაზე დაბალი კოეფიციენტის გამო არ გვიშვებენ).

გუშინ, ორივე ქართული გუნდის მთავარ მწვრთნელს დავუკავშირდით და მოახლოებული ევროთასების წინ, ევროსამზადისის შესახებ გამოვკითხეთ. სამწუხაროდ, უკვე ასი პროცენტით გადაწყვეტილია, რომ წინა წლების მსგავსად, სტუ-"თელავიც" და "თბილისიც" ორივე მატჩს სტუმრად გამართავენ. ამის გამო, პირველ შეხვედრებს, დაგეგმილი 1-2 სექტემბრის ნაცვლად, ჩაატარებენ 8 სექტემბერს, ხოლო განმეორებითს - 9 სექტემბერს.

ისე, პირველი საკვალიფიკაციო რაუნდის მატჩების განრიგს თუ გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ რვა წყვილიდან, ორივე მატჩს მეტოქის მოედანზე მხოლოდ ქართული კლუბები ატარებენ. ასე რომ, ჩვენი გუნდების მიერ საშინაო შეხვედრების საქართველოში ხილვის ბედნიერება, სულ მცირე, მომავალ წლამდე გადაგვედო. წლეულს კი თავად კლუბებიც აღიარებენ, რომ წარმატების მიზერული შანსი აქვთ. მეტოქის მოედანზე თამაში დღეს თითქმის ყველას ძალიან უჭირს და ამას გარდა, სტუ და "თბილისი" გაძლიერების ნაცვლად, უფრო დასუსტდნენ. შესაძლოა, მათ ევროთასებამდე ვეღარც მოასწრონ ახალი ხელბურთელების დამატება.

ახლა კი, მოდით, მწვრთნელებს მოვუსმინოთ.

**ირაკლი კეკელიძე** (სტუ-"თელავი"): - გუნდი დაბრუნდა მცირეხნიანი შვებულებიდან და ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში ვემზადებით ევროთასებისთვის. ისლანდიის "ტიარნანში" კონტრაქტის გასაფორმებლად წავიდა ჩვენი გუნდის ლიდერი რატი მსხვილიძე. თუ არ ვცდები, კონტრაქტზე უკვე ხელი უნდა ჰქონდეს მოწერილი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ევროთასებზე ვერ დაგვეხმარება. რაც შეეხება ახალ ხელბურთელებს, ჯერ არავინ დაგვიმატებია. შესაძლოა, "ქარიშხალადან" გადმოვიყვანოთ ორიოდე ახალგაზრდა.

**მამუკა მჟავანაძე** ("თბილისი"): - ურეკის შემდეგ, ათდღიანი შეკრება გავიარეთ თურქეთის მეორე ლიგის კლუბ "ართვინის" ბაზაზე. სამწუხაროდ, იქ მხოლოდ ერთი საკონტროლო მატჩის ჩატარება მოვახერხეთ, რადგან სხვა გუნდები სეზონის ბოლოს შემუშავებული გრაფიკით ვარჯიშობენ და მისი დარღვევა არ ისურვეს. თურქები დავამარცხეთ და მათ ამ შეხვედრაში ჩვენი კლუბიდან ახლახან გადაყვანილი ოთხი ახალწვეულიც ათამაშეს. გიორგი ნატროშვილმა, შოთა გრიშიკაშვილმა, ლევან ოსიყმაშვილმა და მეკარე გაგა სეთურიძემ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ვიმედოვნებ, თურქეთში თამაში მათ სამომავლო კარიერას წაადგება.

რაც შეეხება ევროთასებს, გულახდილად გეტყვით, რომ წარმატების მცირე შანსი გვაქვს. ძალიან გვინდოდა, რომ საშინაო მატჩი საქართველოში ჩაგვეტარებინა, მაგრამ დარბაზის პრობლემის გამო, ეს ვერ მოვახერხეთ. ასე რომ, ისღა დაგვრჩენია, სლოვაკეთში ღირსეულად ვითამაშოთ. საერთაშორისო მატჩებით განებივრებულები არ ვართ და ამ ორ მატჩს უფრო მოახლოებული საქართველოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გამოვიყენებთ.

რაც შეეხება ახალწვეულებს, სლოვაკეთში წასვლამდე რაიმე მნიშვნელოვანი ტრანსფერის განხორციელებას ვერ ვახერხებთ. ამას ალბათ უფრო საქართველოს ჩემპიონატის მსვლელობისას გავაკეთებთ.

**კობა ხატისაშვილი**

**ვილნიუსი (ლიტვა) - სტუ/შევარდენი (საქართველო)**

8-9 სექტემბერი, ვილნიუსი. 18:00

მსაჯები: ჰენრიკ მაკინენი, გორან ჯონსონი (შვედ.). დელეგატი: ალექსანდრ გრეჩინი (ბელორუსი)

**პოვაჟსკა ბისტრიცა (სლოვაკეთი) - თბილისი (საქართველო)**

8-9 სექტემბერი, პოვაჟსკა ბისტრიცა. 18:00

მსაჯები: ზორან ნაუმოვსკი, ვასილ კავდაროვი (მაკედონია). დელეგატი: ვასილი ფიგერი (უკრ.)

# მთამსვლელები ქალაქშიც იღუპებიან



## ლევან თათარაშვილი

**"21 აგვისტოს, დილით, ყველაზე ადრე ლევან თათარაშვილს გაეღვიძა. სწრაფად ჩაიცვა და ნახევრადმძინარემ თანაგუნდელებს გადაულაპარაკა:**

**- მე ახლა გავალ და რუსების დატოვებულ თოკებს მოვხსნი. ვიდრე ამას გავაკეთებ, ეცადეთ, ფეხზე იყოთ, ჩაცმულები და გამზადებულები. კარავიც აკეცეთ...**

**რუსების მიერ დატოვებულ თოკებამდე ლევანი საკმაოდ იოლად მივიდა. ჯერ ერთი თოკი მოხსნა და საგულდაგულოდ აახვია, შემდეგ მეორეს მოხსნა დაიწყო, თუმცა აქ ოდნავ გაურთულდა საქმე – თოკის ბოლოს, მისი ძველი პატრონების მიერ გაკეთებული კვანძი კლდეში იყო ჩაყინული. ამის გამო ლევანს, ჩაყინულ კვანძამდე 50 მეტრით დაშვება მოუხდა. ამასობაში კარავში დარჩენილებმა ჩაცმაც მოასწრეს, კარვის აკეცვაც.**

ესაა ნაწყვეტი იმ ინტერვიუდან, რომელიც 2005 წელს შხელდიდან დაბრუნებული ლევან თათარაშვილისგან ავიღე.

იმ წელს მწვერვალიდან დაშვებისას ლევანის ჩაზმა, ოთხი მთამსვლელი, წარმატებული მწვერვალის შემდეგ უკან ბრუნდებოდა, როცა ქვათაცვენაში მოყვა.

"ლევანს ჩანთაზე თოკი ჰქონდა დამაგრებული. პირველი ქვა სწორედ ჩანთაზე მიმაგრებულ თოკს მოხვდა. დარტყმის ძალამ ლევანი დაატრიალა, თუმცა მოასწრო ბერგშუნდში ჩახტომა. ქვათაცვენა კი გახურდა.

ქვები მოხვდა გეზის, კასალაპას, ლაშას... ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე... თოვლის სამოთხე ნელ-ნელა ჯოჯოხეთს დაემსგავსა. ლაშამ ფრთხილად აწია თავი და ბიჭებს ჩახედა. ოთხეულიდან მხოლოდ ლევანი არ ჩანდა. "ის წინა კაცი იყო ნეტავ სად არის, ქვათაცვენამ ხომ არ წაიღო?" - გაუელვა ლაშას თავში და ნაფიქრალმა თავადვე შეაშინა. შემდეგ კვლავ ბიჭებს გადახედა და დაინახა, როგორ მოხვდა კასალაპას თავში უზარმაზარი ქვა..." — იმ ავარიის, 22 აგვისტოს დროს ჩაზმაში ერთი მთამსვლელი 24 წლის მიხეილ ჩაჩანიძე, მეტსახელად კასალაპა, ყველაზე მძიმედ დაშავდა და მეორე დღეს, 23 აგვისტოს გარდაიცვალა.

ზუსტად ორი წლის შემდეგ, 2007 წლის 23 აგვისტოს, ლევანი მეგობართან ერთად, ტრადიციული, სასიმაღლო სამუშაოს შესასრულებლად თბილისში, ეკონომიკის სამინისტროს შენობაზე ჩამოეკიდა. გუშინ ბიჭებს აქ გარე განათება უნდა დაემონტაჟებინათ.

"ბიჭო, კასალაპა ორი წლის წინათ, ზუსტად ამ დროს დაიღუპა" - როგორც ჩანს, საათს დახედა ლევანმა, მეგობარს გადაულაპარაკა და სამუშაოს შესრულებას შეუდგა... რა მოხდა შემდეგ, ამის თქმა გუშინ ექსპერტებს გაუჭირდათ. ლევან შენობის მეთერთმეტე სართულიდან ელვის სისწრაფით მოწყდა და გადასერილ თოკთან ერთად ჩამოვარდა. ის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

ლევან თათარაშვილი ქართველ მთამსვლელებში ერთ-ერთი ძლიერი და პერსპექტიული იყო. მის სათვალავში მრავალი რთული მწვერვალი და პირველგავლაა. 2007 წელს, ლევანი მთამსვლელობაში პოპულარული და მრავალი წლის შემდეგ აღდგენილი სახეობის - მთამსვლელური ორჭიდის გამარჯვებული და ამ სახეობაში ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი იყო. მისი მეთვალყურეობით მრავალ ახალბედას აუდგამს მთაში ფეხი. მას ენდობოდნენ და უყვარდათ.

სულ რამდენი დღის წინათ ის, კიდევ რამდენიმე გამოცდილ მთამსვლელთან ერთად, სვანეთიდან, უშბის ერთ-ერთი ურთულესი მარშრუტიდან, მიშლიაევიდან დაბრუნდა. ბიჭებს ამინდმა შეუშალა ხელი, მთაზე ასულიყვნენ. მთამ ლევან თათარაშვილი დაინდო, ქალაქმა კი არა.

**თამარ ჯიშკარიანი**

## ლიდერს შეხვდება

**ჭადრაკი.** ბანიოლესში საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალზე ყოველდღიურად იცვლება ლიდერი. მეშვიდე ტურში ამერიკელმა საერთაშორისო ოსტატმა **რანიერ გონსალესმა** ესპანელი **ხორდი ფლუვია** დაამარცხა და 6 ქულით გალიდერდა. მას კვალში ხუთი მოჭადრაკე უდგას 5,5 ქულით, მათ შორის დიდოსტატი **ლევან აროშიძე** (2470). მეშვიდე ტურის პარტიაში აროშიძე თეთრი ფიგურებით დაუზავდა ინდოელ **დიპ სანგუფტას**. მერვე ტურში აროშიძე ლიდერ გონსალესს შავი ფიგურებით დაუპირისპირდება. ფესტივალში მონაწილე სხვა ქართველთაგან უკეთ **სოფიო ნიკოლაძე** თამაშობს (5 ქულა), შემდეგ მოდიან **დავით შენგელია** და **ანა მათნაძე** (4,5-4,5 ქულა). **სოფიკო გურამიშვილს** და **მარიამ დანელიას** 4-4 ქულა დაუგროვდათ.

# დუშეთის ბაზა მორაგბეებს

საქართველოს რაგბის კავშირს მალე კიდევ ერთი სპორტული ბაზა შეემატება. ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელები მთავრობის უახლოეს სხდომაზე გაიტანენ საკითხს, დუშეთში არსებული სპორტული ბაზის რაგბის კავშირისთვის სიმბოლურ ფასად გადაცემის თაობაზე.

რაგბის კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა **ირაკლი ხუციშვილმა** გვითხრა:

**- ეს ფაქტი კიდევ ერთი დასტურია იმ ყურადღების, რასაც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება რაგბისადმი იჩენს. დუშეთის სპორტული ბაზა - სასტუმრო და მოედანი მართალია კარგ მდგომარეობაში არაა, მაგრამ მისი რაგბის კავშირის მფლობელობაში გადმოცემა საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა რაგბის განვითარების საქმეში. უწინარესად საქართველოს ამ რეგიონში გაჩნდება რაგბის კიდევ ერთი კერა. რეკონსტრუქციის შემდეგ იქ შესაძლებელია კარგი საწვრთნელი ბაზის შექმნა, რომელსაც ნაკრებ გუნდებთან ერთად კლუბებიც გამოიყენებენ. გამორიცხული არაა ბაზის რეაბილიტაციის პროცესში წვლილი დუშეთის რაიონის გამგეობამაც შეიტანოს. თუმცა ეს ჯერჯერობით ვერსიაა, გადაწყვეტილება მიღებული არაა. რაც შეეხება "სინათლის" სტადიონს, რომელიც რამდენიმე თვის წინათ გადმოგვეცა, სანამ იქ რეკონსტრუქცია დაიწყება, შესაძლებელია პირველი ლიგის გუნდების თამაშები გავმართოთ.**

**ბესიკ ჯანაგავაძე**




ქვიშის რაგბი
ქობულეთი 2007
25-26 აგვისტო
ს.ქ.რ.კ.
LIVE ბარი
სწრაფი პოინტი ჯგუფი
CUFPSF
PLAYBOY
swatch
oriflame
ორიფლეიმი
RACHA
რაგბი ნარკომანიის წინააღმდეგ

ეროვნული

რეკორდის მოლოდინში?

# ფედერერი 50



ფედერერი 50-ე ტიტულს ზეიმობს

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) ისტორიაში მხოლოდ ცხრა ჩოგბურთელმა შეძლო კარიერის განმავლობაში ერთეულთა თანრიგში 50 ტურნირის მოგება. როგორც იცით, გასულ კვირას, ამ სიაში რიგით მეცხრე მოთამაშე **როჯერ ფედერერი** გახდა, რომელმაც ცინცინატის მასტერსის ფინალი მოიგო. საინტერესოა იმის გაანალიზება, თუ სად, როდის და რა საფარზე იმარჯვებდა ცნობილი შვეიცარიელი ჩოგბურთელი.

## ტიტულები ტურნირების მიხედვით

*უიმბლდონი - 5*
*ჰამბურგი, ჰალე, დუბაი - 4*
*ავსტრალიის ღია, აშშ-ის ღია, მასტერსის თასი, ინდიან უელსი - 3*
*მაიამი, კანადა, ცინცინატი, ბანგკოკი, ვენა, დოჰა - 2*
*მადრიდი, ბაზელი, გშტაადი, მარსელი, მილანი, მიუნხენი, როტერდამი, სიდნეი, ტოკიო - 1*

როგორც ხედავთ, უფრო ხშირად ფედერერი ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე - უიმბლდონზე იმარჯვებს. ერთი შეხედვით, ამ სიიდან შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ როჯერს დიდ ტურნირებზე თამაში უფრო უადვილდება, თუმცა ეს ასე არ არის. უბრალოდ, პატარა შეჯიბრებებში ის იშვიათად თამაშობს და შესაბამისად, იშვიათად იგებს.

## ტიტულები ქვეყნების მიხედვით

*აშშ - 12*
*გერმანია - 9*
*ბრიტანეთი - 5*
*ავსტრალია, საემიროები - 4*
*ავსტრია, კანადა, კატარი, ტაილანდი, შვეიცარია - 2*
*ჰოლანდია, ესპანეთი, იტალია, ჩინეთი, საფრანგეთი, იაპონია - 1*

გასაკვირი არ არის, რომ ფედერერს ყველაზე მეტი ტურნირი ამერიკაში აქვს მოგებული. როგორც ცნობილია, აშშ-ში ATP-ის ყველაზე მეტი ტურნირი იმართება. ასე რომ, ეს სიაც კანონზომიერი გახლავთ.

## ტიტულები წლების მიხედვით

*2001 - 1*
*2002 - 3*
*2003 - 7*
*2004 - 11*
*2005 - 11*
*2006 - 12*
*2007 - 5*

2001 წლიდან მოყოლებული, როცა ფედერერმა მილანში მეოთხედფინალში **გორან ივანიშევიჩი**, ნახევარფინალში **ევგენი კაფელნიკოვი**, ხოლო ფინალში **ჟულიენ ბუტიე** დაამარცხა, შვიდი სეზონის განმავლობაში ის წელიწადში მინიმუმ ერთ ტურნირს იგებს. თანაც ბოლო სამი სეზონია, როჯერი 11-ზე ნაკლებ ტიტულს არ სჯერდება. თუმცა წლეულს, ფედერერს ყველაზე მეტად უჭირს, ამიტომაც მისთვის 10 გამარჯვებამდე ასვლაც კი პრობლემატური იქნება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფედერერი მოიგებს აშშ-ის ღია პირველობას, მადრიდს, პარიზსა და მასტერსის თასს, მის ანგარიშზე 9 ტიტული იქნება. გამორიცხული არ არის, რომ შვეიცარიელმა International Series-ის რომელიმე შეჯიბრიც მოიგოს. მაგრამ, წლეულს ფედერერის გამოსვლიდან გამომდინარე, ასეთი ოპტიმისტური პროგნოზი ცოტათი არარეალური ჩანს.

## ტიტულები საფარის მიხედვით

*ჰარდი - 25*
*დარბაზი - 10*
*ბალახი - 9*
*თიხნარი - 6*

ფედერერმა თავისი ტიტულების ზუსტად ნახევარი ამერიკისა და ავსტრალიის ხისტ საფარზე მოიპოვა, მიუხედავად ამისა, შვეიცარიელი მაინც უმაღლესი დონის უნივერსალად უნდა ჩავთვალოთ. მისთვის ყველაზე პრობლემატურ საფარზე - თიხნარზეც კი, მან International Series-ის იოლი ტურნირების გარდა, მასტერსის სერიის ოთხი ტიტული მოიგო.

ახლა კი ვნახოთ, რა ადგილს იკავებს ფედერერი ყველა დროის წარმატებულ მოთამაშეებს შორის.

**10 ყველაზე ტიტულოვანი**

| ტიტულები | ჩოგბურთელი | წლები* |
|---|---|---|
| 109 | ჯიმი კონორსი (აშშ) | 1972-1989 (18) |
| 94 | ივან ლენდლი (ჩეხ/აშშ) | 1980-1993 (14) |
| 77 | ჯონ მაკინროი (აშშ) | 1978-1991 (14) |
| 64 | პიტ სამპრასი (აშშ) | 1990-2002 (13) |
| 62 | ბიორნ ბორგი (შვედ) | 1974-1981 (8) |
| 62 | გილერმო ვილასი (არგ) | 1973-1983 (11) |
| 60 | ანდრე აგასი (აშშ) | 1987-2005 (19) |
| 57 | ილიე ნასტასე (რუმ) | 1968-1978 (11) |
| 50 | როჯერ ფედერერი | 2002-2007 (6) |
| 49 | ბორის ბეკერი (გერ) | 1985-1996 (12) |

** - დროის ინტერვალი პირველ და ბოლო მოგებულ ტურნირებს შორის*

რა თქმა უნდა, თეორიულად ფედერერს აქვს კონორსის გადასწრების შანსი, მაგრამ, პრაქტიკულად, ეს თითქმის შეუძლებელია. ჯერერთი, ამერიკელმა თავისი ბოლო ტიტული 37 წლის ასაკში მოიპოვა, მამაკაცთა ჩოგბურთში დღევანდელი კონკურენციის გათვალისწინებით კი, ასეთ ასაკში მაღალ დონეზე გამოსვლა ძალიან პრობლემატურია, ხოლო ATP-ის ტურნირებზე გამარჯვება, თითქმის არარეალური. და მეორე - წლევანდელ სეზონში ელიტის სხვა წარმომადგენლებზე შვეიცარიელის უპირატესობა არც ისე შესამჩნევია, როგორც ეს გასულ წლებში იყო. უფრო მეტიც, **რაფაელ ნადალი** როჯერზე წინ იმყოფებოდა ჩემპიონთა რბოლაში. ამიტომაც, ფედერერს შეუძლია **ნასტასეს, აგასის, ვილასს, ბორგსა** და **სამპრასს** გაუსწროს, შემდეგ კი, უკვე პრობლემებს უნდა ველოდოთ.

სკანდალი

# დავიდენკომ თამაში ჩააწყო?

რუსული ჩოგბურთის მთავარი ვარსკვლავი, **ნიკოლაი დავიდენკო** დიდ სკანდალში გაეხვია. პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაცია (ATP) და საბუკმეიკერო კანტორა Betfair ივლისში, დავიდენკოსა და **მარტინ არგელოს** შორის გამართული მატჩის გარემოებებს იძიებენ. მაშინ, რუსი მოთამაშის წაგებაზე ტოტალიზატორებში ჩვეულებრივზე 10-ჯერ მეტი თანხა შევიდა. ამ ორგანიზაციებმა ოფიციალურად მოითხოვეს დავიდენკოს სატელეფონო საუბრებისა და ელექტრონული ფოსტის შემოწმება და თანხმობაც მიიღეს.

ATP-სა და Betfair-ს დიდი ეჭვი აღუძრა პოლონეთის ქალაქ სოპოტში გამართულ შეხვედრაზე შესული ფსონების რაოდენობამ და თავად მატჩის შედეგმა. მათ ეჭვი აქვთ, რომ ეს შეხვედრა ჩაწყობილი იყო. დავიდენკოსა და არგელოს მატჩის წინ და პირველი სეტის (რომელიც რუსმა 6:2 მოიგო) მსვლელობისას, ამ შეხვედრაზე დადებულმა საერთო თანხამ 7 მილიონ (!) დოლარს გადააჭარბა, არადა ასეთი დონის ტურნირებზე, როგორც წესი, ტოტალიზატორებში 10-ჯერ ნაკლები თანხა შედის ხოლმე.

ეჭვი კიდევ უფრო გაღრმავდა, როცა დავიდენკომ რანგით გაცილებით დაბალ მეტოქესთან მეორე სეტი 3:6 წააგო, ხოლო მესამე პარტიაში კი, ტრავმა მოიმიზეზა და საერთოდ დატოვა კორტი. Betfair-მა სასწრაფოდ შეწყვიტა დავიდენკო-არგელოს მატჩზე ფსონების მიღება, ხოლო ATP-ის ხელმძღვანელობამ ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო და საკითხის ბოლომდე გარკვევა აქვს გადაწყვეტილი.

ამ სკანდალთან დაკავშირებით, სააგენტო AP-მ ნიუ ჰევენში მყოფ დავიდენკოს კომენტარი სთხოვა. აი, რა უპასუხა რუსმა ჩოგბურთელმა: *"როგორც წესი, გაზეთებს იშვიათად ვეცნობი. როცა ისეთი დიდი ტურნირია კარს მომდგარი, როგორიც აშშ-ის ღია პირველობა გახლავთ, მთავარი ფიქრები სწორედ მას უკავშირდება"*.



დავიდენკო დიდ შარშია

## ტურნირები

**ATP**

**Pilot Pen Tennis**

ნიუ ჰევენი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 675 250 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 1)**-დონალდ იანგი (აშშ) 6:2, 4:6, 7:5; **დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-ჯონ ისნერი (აშშ) 6:7 (2), 6:2, 6:2; **პოლ-ანრი მატიო (საფ, 5)**-ლუის ორნა (პერ) 6:3, 7:6 (3); **ტომას იოჰანსონი (შვედ)**-პოტიტო სტარაჩე (იტა, 8) 7:6 (3), 6:3; **ხოსე აკასუსო (არგ)**-დომინიკ ჰრბატი (სლოვაკ, 9) 6:1, 7:5; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 10)**-ჟულიან ბენეტო(საფ) 6:7 (5), 6:3, 6:3; **ივო კარლოვიჩი (ხორ, 11)**-მაიკლ რასელი (აშშ) 7:6 (2), 6:4; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 12)**-ვინსენტ სპეიდი (აშშ) 2:6, 6:4, 6:2; **იგორ ანდრეევი (რუს, 4)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 6:1, 6:7 (4), 7:6 (4); **სტანისლას ვავრინკა (შვეიც)**-გაელ მონფილსი (საფ, 15) 7:6 (5), 6:4; **აგუსტინ კალერი (არგ, 16)**-რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4, 3:6, 7:5; **ჟილ სიმონი (საფ)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) 7:6 (3), 6:7 (5), 7:5.

**1/8 ფინალში ხვდებიან**

დავიდენკო (1)-სიმონი (13); მატიო (5)-ალმაგრო (10); ბლეიკი (3)-კალერი (16); ნიემინენი (6)-ვერდასკო (12); კარლოვიჩი (11)-ტ. იოჰანსონი; ფერერი (4)-ანდრეევი (14); ფიში-აკასუსო; რობრედო (2)-ვავრინკა.

**WTA**

**Pilot Pen Tennis**

ნიუ ჰევენი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 600 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 1)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) 4:6, 6:1, 6:4; **აგნეს შავაი (უნგ)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 2) 7:5, 6:3; **მარიონ ბარტოლი (საფ, 3)**-ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ) 6:0, 6:4; **დინარა საფინა (რუს, 4)**-ვანია კინგი (აშშ) 6:1, 6:3; **ელენა დემენტიევა (რუს, 6)**-ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 6:1, 7:6 (6); **ელენი დანიილიდუ (საბ)**-სიბილ ბამერი (ავსტრია, 7) 1:6, 7:5, 6:2; **ალიონა ბონდარენკო (უკრ, 8)**-სანია მირზა (ინდ) 6:3, 0:6, 6:3; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა)**-ემილი ლუა (საფ) 6:1, 6:4.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

კუზნეცოვა (1)-სკიავონე; ბარტოლი (3)-დემენტიევა (6); საფინა (4)-დანიილიდუ; ა. ბონდარენკო (8)-შავაი.

## TV სპორტი

**24 აგვისტო. პარასკევი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:14** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-დორტმუნდი.
**09:00** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**09:13** აფროსნობა. ამერიკის თასი.
**09:42** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**10:10** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**10:21** მინი-მოედანი.
**10:48** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ევერტონი.
**12:31** ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. ბოტაფოგო-კორინთიანსი.
**14:17** სპორტდოსიე. ვინდსერფინგი.
**14:45** ფეხბურთი. უეფას თასი. II საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩი. დნეპრი-ბელხატოვი.
**16:30** ფიტნესი.
**16:55** ფეხბურთი. Barca TV.
**17:02** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. რედინგი-ჩელსი.
**18:46** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**19:12** ჰოკეი. NHL. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. ოტავა-ანაჰაიმი.
**21:05** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:35** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
**22:06** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**22:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-ჰამბურგი (LIVE).
**00:28** კრივი. 2006 წლის საუკეთესო ნოკაუტები.
**01:48** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ევერტონი.
**03:30** ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. ბოტაფოგო-კორინთიანსი.
**05:14** ჰოკეი. NHL. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. ოტავა-ანაჰაიმი.
**07:07** სპორტდოსიე. ვინდსერფინგი.

**EUROSPORT**

**10:30** ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ქალები. ფინალური ეტაპი. ჩინეთი (LIVE).
**11:30** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
**12:00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ინგლისი-ბრაზილია. ს. კორეა (LIVE).
**14:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. სლოვაკეთი-საფრანგეთი.
**14:45** ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ქალები. ფინალური ეტაპი. ჩინეთი.
**15:30** ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ქალები. ფინალური ეტაპი. ჩინეთი (LIVE).
**17:30** ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ბენილუქსის ტური. II ეტაპი (LIVE).
**18:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
**19:00** ბალახის ჰოკეი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 1/2 ფინალი. მანჩესტერი. ინგლისი (LIVE).
**20:30** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ნიუ ჰევენი. აშშ (LIVE).
**21:45** ტრამპლინიდან ხტომა. ოთხი ერის გრან-პრი. HS140. პრაგელატო. იტალია.
**22:15** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
**00:00** სუმო.
**01:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**01:30** მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. I დღე. ოსაკა. იაპონია.
**02:00** მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. I დღე. ოსაკა. იაპონია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**11:30** ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ქალები. ფინალური ეტაპი. ჩინეთი.
**13:30** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. საფრანგეთი-პორტუგალია. მარსელი. საფრანგეთი.
**14:00** ახალი ამბები.
**15:00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ს. კორეა-ტოგო. ს. კორეა (LIVE).
**17:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
**18:30** მულტისპორტი.
**19:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
**21:00** ხელბურთი. საერთაშორისო ტურნირი. 1/2 ფინალები. ბოსნია (LIVE).
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
**00:00** სერფინგი. საფრანგეთი.
**00:15** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. მარსელი. საფრანგეთი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**02:15** ახალი ამბები.
**02:30** სერფინგი. საფრანგეთი.
**02:45** პრო-რესტლინგი.
**04:15** სერფინგი. საფრანგეთი.
**04:30** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

**UNDER 17**

| | |
|---|---|
| განა-გერმანია | 0:3 |
| აშშ-ტუნისი | 0:2 |
| ტაჯიკეთი-ბელგია | 0:1 |
| ტრინიდადი-კოლუმბია | 0:5 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| უკრაინა (U21)-მოლდოვა (U21) | 3:1 |
| სერბეთი (U21)-ისრაელი (U21) | 0:2 |
| ეკვადორი-ბოლივია | 1:0 |
| პარაგვაი-ვენესუელა | 1:1 |
| პანამა-გვატემალა | 2:1 |
| კოსტა რიკა-პერუ | 1:1 |
| მექსიკა-კოლუმბია | 0:1 |

**ინგლისი**

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| უეიმაუთი-ბარტონი | 1:2 |

**შვედეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სუნდსვალი-პაკენი | 1:0 |

**არგენტინა**

| | |
|---|---|
| ხიმნასია (ხ)-რივერ პლეიტი | 2:2 |

**კალათბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| სერბეთი-ჩინეთი | 96:76 |
| თურქეთი-ხორვატია | 60:72 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ნიუ ჰევენი**

| | |
|---|---|
| კარლოვიჩი-ტ. იოჰანსონი | 4:6, 6:4, 7:5 |
| აკასუსო-ფიში | 7:6, 3:6, 0:6 |
| რობრედო-ვავრინკა | 3:6, 3:6 |
| დავიდენკო-სიმონი | 4:6, 4:6 |
| ფერერი-ანდრეევი | 6:3, 6:7, 4:6 |
| ნიემინენი-ვერდასკო | 3:6, 6:2, 4:6 |
| ბლეიკი-კალერი | 3:6, 7:6, 6:1 |

**WTA. ნიუ ჰევენი**

| | |
|---|---|
| ა. ბონდარენკო-შავაი | 1:6, 4:6 |

## ავტოსპორტი

ფორმულა 1. უილიამსი

# ნიკო არ იყიდება



ნიკო როსბერგი

"უილიამსის" 65 წლის შეფმა, **ფრენკ უილიამსმა** კატეგორიულად უარჰყო პრესაში გავრცელებული ჭორი იმის შესახებ, თითქოს ბრიტანული საჯინიბო გერმანელი **ნიკო როსბერგის** სხვა გუნდში გაშვებას აპირებს.

ამ საკითხზე აქტიურად საუბარი მას შემდეგ დაიწყო, რაც უილიამსმა ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში განაცხადა, რომ სწრაფი ბოლიდის შემთხვევაში, როსბერგი მსოფლიო ჩემპიონი გახდება და რომ ის არაფრით ჩამოუვარდება წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერ **ლუის ჰემილტონს**, რომელსაც ის რანგით დაბალ "ფორმულებში" ეჯიბრებოდა.

ჟურნალისტების აზრით, უილიამსი ასეთი განცხადებებით, თავისი პილოტის საბაზრო ფასს ზრდის, რათა შემდეგ ის უფრო სარფიანად გაყიდოს რომელიმე გუნდში. შეგახსენებთ, რომ უმცროსი როსბერგი (ნიკო 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონის, **კეკე როსბერგის** ვაჟია) "უილიამსში" 2004 წლიდან ირიცხება.

გერმანული გამოცემა Auto Motor und Sport-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ფრენკ უილიამსმა ხმამაღლა განაცხადა: *"ნიკო არანაირ თანხად არ იყიდება. ყოველ შემთხვევაში, ის 2008 წელს "უილიამსის" პილოტი იქნება"*.

## კალათბურთი

### ლატვიელთა 12 რჩეული

მოახლოებულ ევროპის ჩემპიონატში მონაწილე კიდევ ორმა გუნდმა დაასახელა შემადგენლობა.

ლატვიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კარლის მუჟნიექსმა** ის 12 კალათბურთელი აირჩია, რომლებიც ესპანეთში სათამაშოდ გაემგზავრებიან. ესენი არიან: **ბიედრინსი** ("გოლდენ სტეიტი", NBA), **ბლუმსი** ("ნაპოლი", იტალია), **იანიჩენოკი** ("ვირტუსი", იტალია), **ვალტერსი, გრაფსი, იაჰოვიჩი** (ყველა - ASK რიგა), **ვესელოვსი, ვიტოლსი, ჰელმანისი, ციპრუსი** (ყველა - "ვენტსპილსი"), **შკელე, ვაიკულისი** (ორივე - "ბარონსი").

ევროპის ჩემპიონატზე ლატვია B ჯგუფში ითამაშებს, სადაც მისი მეტოქეები პორტუგალია, ხორვატია და ესპანეთი იქნებიან.

### საბერძნეთმა ტურნირი მოიგო და შემადგენლობა დაასახელა

საბერძნეთის ნაკრებმა ათენში ოთხთა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა საკუთარ მოედანზე ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა იტალია, ლიტვა და სლოვენია და პირველი ადგილი დაიკავა.

ტურნირის შემდეგ, ბერძნების დამრიგებელმა **პანაიოტის იანაკისმა** თავისი გუნდის საბოლოო შემადგენლობა დაასახელა და კალათბურთელებს ნომრებიც ჩამოურიგა:

4. **ტეოდოროს პაპალუკასი** (ცსკა, რუსეთი), 5. **სოფოკლეს შორცანიდისი** (ოლიმპიაკოსი), 6. **ნიკოს ცისისი** (ბენეტონი, იტალია), 7. **ვასილის სპანულისი** (პანათინაისოკი), 8. **პანაგოტის ვასილოპულოსი** (ოლიმპიაკოსი), 9. **ანტონის ფოცისი** (დინამო, რუსეთი), 10. **ნიკოს ხაცივრეტასი** (პანათინაიკოსი), 11. **დიმოს დიკუდისი** (პანათინაიკოსი), 12. **კოსტას ცარცარისი** (პანათინაიკოსი), 13. **დიმიტრიოს დიამანტიდისი** (პანათინაიკოსი), 14. **ლაზაროს პაპადოპულოსი** (დინამო, რუსეთი), 15. **მიხალის კაკიუცისი** (ბარსელონა, ესპანეთი).

### ბარნიანი მალე დაბრუნდება

საბერძნეთში გამართულ ტურნირზე, იტალიის ნაკრებმა მასპინძლების გარდა, ლიტვასთანაც წააგო. აპენინელები ათენში თავიანთი ერთ-ერთი ლიდერის, 2006 წლის დრაფტის პირველი ნომრის **ანდრეა ბარნიანის** გარეშე თამაშობდნენ, რომელსაც ზურგის ტრავმა აწუხებს.

როგორც იტალიური პრესა წერს, "ტორონტო რეპტორზის" ფორვარდი ორ დღეში ჩადგება მწყობრში. ამის იმედი აქვს იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **კარლო რეკალკატისაც**: *"25 აგვისტოს ამხანაგურ მატჩში გერმანიას ვეთამაშებით და სავარაუდოდ, ანდრეა ჩვენს გვერდით იქნება"*.

### ლეიკერსს ახალი ცენტრი ჰყავს

"ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" ახალი სეზონისთვის ცენტრალური თავდამსხმელი დაიმატა. ეს გახლავთ ტენესის უნივერსიტეტის მოთამაშე **ლარი ტერნერი**.

კლუბის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა არ გაახმოვანა კონტრაქტის ფინანსური დეტალები. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ტერნერმა საზაფხულო ლიგაში, "ლეიკერსის" რიგებში 5 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 7.43 ქულა და 5.2 მოხსნა დააგროვა.

### მაიამის ბრაუნიც უნდა

შემადგენლობის გაძლიერების ახალ ვარიანტს განიხილავს "მაიამი ჰიტის" მთავარი მწვრთნელი **პატ რაილი**. ვეტერან მწვრთნელს "ჩიკაგო ბულსის" ვეტერანი ფორვარდის, **პი ჯეი ბრაუნის** გადაბირება სურს.

კალათბურთელის აგენტის, **მარკ ბარტელშტეინის** განცხადებით, "მაიამის" 38 წლის ბრაუნის გადაყვანის კარგი შანსი ექნება, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მოთამაშე კარიერის დასრულებას არ გადაწყვეტს.

როგორც ამბობენ, მაიამელები ბრაუნის სანაცვლოდ მძიმე ფორვარდ **უდონის ჰასლემს** დათმობენ. შეგახსენებთ, სწორედ ამ კალათბურთელის გვარი ფიგურირებდა ორი დღის წინათ გავრცელებულ ცნობაში, რომელიც "მაიამის" მხრიდან "საკრამენტოს" ლიდერ **რონ არტესტით** დაინტერესებას უკავშირდებოდა.

## ფორმულა 1

### რენო ახალ ტესტერს ეძებს

"რენოს" შეფმა **ფლავიო ბრიატორემ** ინტერვიუ მისცა ყოველდღიურ AutoPlus-ს, სადაც განაცხადა, რომ სავარაუდოდ, შემდეგ სეზონში ფრანგული საჯინიბოს ახალი ტესტ-პილოტი ფრანგი **რომან გროჟანი** იქნება. ეს უკანასკნელი ევროპული F3-ის ლიდერი გახლავთ. პარალელურად, ფრანგი GP2-ის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

ამასთან, "რენოს" პრეს-სამსახური აცხადებს, რომ გროჟანის საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის. სხვათა შორის, ფრანგ პილოტს ფორმულა 1-ში მუშაობის არანაირი გამოცდილება არ გააჩნია.

## მძლეოსნობა

მსოფლიო ჩემპიონატის წინ

# სპრინტის რეკორდი ოსაკაში დაეცემა

ხვალ, იაპონიის ქალაქ ოსაკაში, სტარტს აიღებს მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომლის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა, როგორც წინა ჩემპიონატებზე, ას მეტრზე ვაჟების სპრინტი იქნება. ეს იმიტომ, რომ ამჯერად მასში მონაწილეობას მიიღებს ერთბაშად ორი ისეთი მორბენალი, რომლებსაც მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება ხელეწიფებათ.

ესენი არიან რეკორდის ახლანდელი მფლობელი, იამაიკელი **ასაფა პაუელი** და ამ სეზონის საუკეთესო მიღწეოსანი, ამერიკელი **ტაისონ გეი**, ვინც მიმდინარე სეზონში ერთხელ რეკორდზე მოკლე დროშიც კი გაირბინა დისტანცია, მაგრამ ძლიერი ზურგქარის გამო, ის შედეგი არ ჩაეთვალა.

*"ყველა ამბობს, რომ ოსაკას სტადიონის სარბენი ბილიკი ჩვეულებრივზე სწრაფია. ჰოდა, ეს კიდევ ერთი მიზეზია იმისთვის, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე რეკორდი დაეცეს. თანაც, პირველობისთვის ორი საუკეთესო სპრინტერი იბრძოლებს"*, - ამბობს გეი, ვინც ამ სეზონში პირველად დაუპირისპირდება პაუელს. ის ვარაუდობს, რომ გასამარჯვებლად, დისტანციის 9.80 წამში, ან უფრო სწრაფად გარბენა იქნება აუცილებელი, ეს კი რეკორდისგან (9.77 წამი) არც ისე შორსაა.

პაუელმა რეკორდული შედეგი პირველად ორი წლის წინათ, ათენში ასპარეზობისას დააფიქსირა, შარშან კი იმავე დროში ასი მეტრი კიდევ ორჯერ გაირბინა. ჯერჯერობით, მსოფლიო რეკორდის თანამფლობელად ითვლება მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ამერიკელი ჩემპიონი **ჯასტინ გეტლინი**, მაგრამ ის დოპინგზე ჩავარდა, რის გამოც მკაცრი სანქცია (რვაწლიანი დისკვალიფიკაცია) ელის. თუმცა, სანამ მისი საქმის განხილვა დასრულდება, ის მაინც თანარეკორდსმენად ითვლება.

რაც შეეხება გეის, სეზონის დასაწყისში, ქარის მცირე დახმარებით, ასი მეტრი 9.76 წამში გაირბინა და რა თქმა უნდა, შედეგი რეკორდად არ ჩაეთვალა. მაგრამ მას ამაზე ბევრი არ უნაღვლია. პირიქით, კიდევ რამდენჯერმე შესანიშნავად იასპარეზა და ორჯერ (ბირმინგემისა და ლონდონის ტურნირებზე) რეკორდზეც კი გაიწია.

აშშ-ის ჩემპიონატზე გეიმ ასი მეტრი 9.84 წამში გაირბინა (ამ სეზონის საუკეთესო ოფიციალური დროა), შემდეგ კი ორას მეტრზეც იასპარეზა და ამ დისტანციაზეც მოიგო (შედეგი 19.62 წამი). მისი შედეგი ყველა დროის მეორე საუკეთესოა და მხოლოდ ლეგენდარული **მაიკლ ჯონსონის** სარეკორდო მიღწევას ჩამორჩება. გეი ოსაკაში ამ ორივე დისტანციაზე გამარჯვებას გეგმავს და იმედოვნებს, რომ შინ ჰეთ-თრიკით დაბრუნდება. ამისთვის კი, აშშ-ის გუნდთან ერთად, მან 4x100 მეტრზე ესტაფეტაც უნდა მოიგოს.

*"ბევრი ამბობს, რომ ოსაკაში ასაფა რეკორდულ დროში გაირბენს. მეც ვგრძნობ, რომ რეკორდის გაუმჯობესება შემიძლია. და თუ ის რეკორდს დაამყარებს და ასე მოიგებს, რას ვიზამ, ესე იგი, უსწრაფესთან დავმარცხდები"*, - ამბობს 25 წლის ამერიკელი, ვისაც, ისევე როგორც პაუელს, ჯერ არასოდეს მოუპოვებია მსოფლიო ჩემპიონატისა თუ ოლიმპიადის მედალი.

წინა ჩემპიონატი პაუელმა (ამ სეზონში მისი საუკეთესო შედეგია 9.90 წამი) ტრავმის გამო გამოტოვა, გეი კი მაშინ მეოთხე ადგილს დასჯერდა (წინა სამიც ამერიკელებმა დაინაწილეს). იმ სეზონში პაუელს რეკორდი ახალი დამყარებული ჰქონდა, გეი კი ტიტულოვან თანაგუნდელ გეტლინის ჩრდილში იმყოფებოდა.

ეს ორი სპრინტერი შარშან, ციურიხის ტურნირის ფინალში შეხვდა ერთმანეთს, როდესაც პაუელმა მესამედ დააფიქსირა მსოფლიო რეკორდი. გეი მაშინ მეორე ადგილს დასჯერდა.

სხვათა შორის, გეის ერთი "რეკორდი" მაინც ეკუთვნის. შარშან, შტუტგარტში ასპარეზობისას, ორასმეტრიანი დისტანციის გარბენისას, პირველი ასი მეტრი მან 9.96 წამში გაირბინა, რაც მანამდე ვერავის მოუხერხებია. ცნობისთვის, ჯონსონმა რომ ორას მეტრზე მსოფლიო რეკორდი (19.32 წამი) დაამყარა (ატლანტას 1996 წლის ოლიმპიადა), მაშინ პირველი ასი მეტრი მან 10.12 წამში დაფარა.

რამდენად უცნაურიც უნდა იყოს, გეის თავისი მწვრთნელი **ლენს ბრაუმანი** ციხიდან ავარჯიშებს - ის მითითებებს ტელეფონით იძლევა, მორბენალი კი მწვრთნელის ყველა დავალებას პირნათლად ასრულებს. გეი ამბობს, რომ ჩემპიონატის დროს, ბრაუმანს ციხიდან ოთხი დღით გამოუშვებენ, თუმცა მას ოსაკაში გამგზავრების უფლება მაინც არ ექნება და თავის შეგირდს კვლავ ტელეფონის საშუალებით მისცემს რჩევებს.

*"ასეთ უცნაურ სიტუაციაში ვარჯიშებმა ჩემზე დადებითად იმოქმედა. მწვრთნელის არყოფნის დროს უფრო მონდომებულიც კი ვარ. ის რჩევებს ვარჯიშის დაწყების წინ მაძლევს, შემდეგ კი ჩემს შთაბეჭდილებებს ტელეფონითვე ისმენს და ისევ რჩევებით მამარაგებს. ასეთმა მუშაობამ მე კაცად ჩამომაყალიბა"*, - ამბობს გეი.

ახლა მას შანსი აქვს, მსოფლიოს უსწრაფესი კაციც გახდეს...



ტაისონი (14) და ასაფა (1) ოსაკაში შეხვდებიან

## ოლიმპიზმი

პეკინი 2008

# ასწლოვანი ჩინელის ოლიმპიური ამბიცია

პეკინის ერთ-ერთმა უხუცესმა ადამიანმა სურვილი გამოთქვა, მონაწილეობა მიიღოს ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტაში. "ჩაინა დეილის" ცნობით, 103 წლის **საო ჭუოშენი** იმდენად მონდომებულია, რომ თავისი მისიის შესასრულებლად, დღეში ორჯერაც კი ვარჯიშობს.

საოს ეს იდეა ჯერ კიდევ ათენის ოლიმპიადის დაწყებამდე მოსვლია. თურმე, ათენის ოლიმპიადის ჩირაღდნის ესტაფეტის ჩინელ მონაწილეს მან თავისი ფოტო გაატანა და ასე, სიმბოლურად მიიღო მონაწილეობა ღონისძიებაში. ეგაა, ინვალიდის სავარძელზე მჯდომს, ფოტოს გადასაცემად თურმე სამი საათი მოუწია ლოდინმა. ჰოდა, როცა ელოდებოდა, სწორედ მაშინ გადაწყვიტა, რომ პეკინის ოლიმპიადის წინ, ესტაფეტაზე თავად მიეღო მონაწილეობა.

*"თავს შესანიშნავად ვგრძნობ. მზად ვარ, ესტაფეტას იქ ჩავერთო, სადაც მისი ორგანიზატორები მიმითითებენ. არც იმის პრობლემა მექნება, რომ ჩირაღდანი მაღლა მქონდეს შემართული"*, - "ჩაინა დეილისთან" საუბრისას განაცხადა საომ.

იმისთვის, რომ "სპორტული ფორმა" შეინარჩუნოს და 137 000-კილომეტრიანი ესტაფეტის მცირე მონაკვეთზე საპატიო მისია ანდონ, საო დღეში ორჯერ 300 მეტრს გარბის (ხელჯოხს იშველიებს). უფრო მეტიც, ის ირწმუნება, რომ თავს მხოლოდ ცივი წყლით იბანს - ეს ჯანმრთელობის შენარჩუნებაში მეხმარებაო.

გაზეთთან საუბარში, მის უმცროს ქალიშვილს უთქვამს, საო ხშირად ხელს თავს ზემოთ სწევს და ასე დიდხანს აჩერებს, თითქოს ჩირაღდანი ხელში უჭირავს და ეს ძალიან სიამოვნებსო.საო ერთ-ერთია თითქმის 22 000 ჩინელს შორის, რომლებსაც ოლიმპიური ჩირაღდნის ტარების პატივი ერგოთ. შეგახსენებთ, რომ ჩირაღდნის ესტაფეტაში მონაწილეობას პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ადამიანი, **იუ ჭენჰუანიც** მიიღებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**


ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა